რედაქციის ადრესი:
ორბელიანის ქუჩა 6.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება სამშაბათობით და შაბათობით 11-2 საათამდე.
კონტორა ღიაა ყოველ დღე.

# ნობათი

დღისით და ღამით მოყმენი
ნობათსა არ დასცდებიან...
შოთა რუსთაველი

ცალკე ნომერი ორი შაური

შინაარსი:

1) რევოლიუცია მოდის! ჩ-სი.
2) კომუნიზმი და ანარქია. პ. კროპოტკინისა.
3) ფელეტონი მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. კ. ო-სა.
4) საქმეების გარჩევა გურიაში. ნ. ნაკაშიძისა.
5) საერთო გაფიცვის მეორე დღეს. ა. ბურშესი.
6) ბ. ბ. „დანოსჩიკებისადმი“ მიმართულ ღია წერილის პასუხის პასუხი.
7) „ნობათის“ ფოსტა.

№ 11 კვირა 4 მაისი 1906 წ. № 11

## რევოლიუცია მოდის!..

Ce sera une erreur de croire
Que ces choses vont finir
Par les chants et par l'apothéose
Victor Hugo.

უკვე ერთ თვეზე მეტია რაც პეტერბურგში პირველი რუსული პარლამენტი არსებობს. იგი გამოვიდა რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობიდამ. პირდაპირი შედეგია ორ ძალთა შორის ბრძოლისა, და ამიტომაც ეს პირველი პარლამენტი სრული მოწინავე ელემენტია რუსეთის ბურჟუა რეფორმატორთა შორის. ჩვენა ვხედავთ მათ შორის საერობო, ლიტერატურულ, პოლიტიკურ ოპპოზიციის წარმომადგენელთ. მათ შორის ბევრია ნაციმბირალი და საპყრობილეში მრავალტანჯული ხალხი, არის აგრეთვე გვარიანი გრუპპა რევოლიუციონერ მუშათა და გლეხთა. თვით რეაქცია მინისტრთა ბაგეთა შემწეობით ლაღადებს, რომ ამ პარლამენტში მთავრობას მომხრეები არა ჰყავსო.

და გულ-უბრყვილო ხალხი უკვე მზად იყო ქებათა ქება ეგალობა პარლამენტის ამგვარ წევრთათვის, სიხარულს მისცემოდეა განუსაზღვრელად: რევოლიუციონური პარლამენტი, - სათათბირო,—განათავისუფლებს და განაახლებს რუსეთს, მიანიჭებს ხალხს დიდის ხნის სასურველ მიწასა და თავისუფლებასო,—აი რა გვესმოდა ჩვენ ყოველი მხრიდამ,

და მართლაც, იქ, ტავრიდის სასახლის დარბაზში მშვენიერი სიტყვები გაისმა, მშვენიერი ფორმულები პოლიტიკურ ლიბერალიზმისა. მინისტრებს ეკითხებიან, დუმა ერთხმადა იღებს ჰუმანიტარულ რეზოლიუციებს, მინისტრებს პირდაპირ პირში ეუბნებიან იმისთანა საყვედურებს, რომლის მსგავსი რუსეთს აქამდის თავის დღეში არ გაუგონია, და ეს მთავრობა, ეს სამინისტრო, ეს ბიუროკრატიის ორგანიზაცია, რომელიც დამყარებულია ხიშტებზედ, მათრახზედ და ტყვიის მტყორცნელებზე, რუსული ანდაზისა არ იყოს. Брань на вороту не виснетъ,—ილრიჭება და ისევ ძველებურად აწამებს, ჰხოცავს და აუპატიურებს და ანადგურებს ხალხს და მთელი ძველი წეს-წყობილება, მთელი სისტემა უფლება და ღირსება—ახდილობისა ისევ არსებობს.

სხვანაირადაც არ შეიძლებოდა.

ერთის მხრით მშვენიერი სიტყვები გულმშვენიერ ადამიანთა, მეორე მხრით საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ორგანიზაცია „საქმის კაცთა“, ავაზაკთა და ქურდთა, რომელთა ხელშიაც არის ნამდვილი ძალა და უფლება, მთელი ქვეყნის შემოსავლები, მთელი არმია და პოლიცია, მთელი ფინანსები რუსეთისა. ეს ცენტრალისტური ბიუროკრატია უნდა ებრძოლოს ხალხს სამკვდრო-სასიცოცხლოდ, და მათი სასიკვდილო დამარცხება მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ნიადაგიდან გამოვაცლით მათ ამ ფაქტიურ ძალას, სიძლიერეს ხელში ჩავიგდებთ და უხეჩ ძალას კი მოვსპობთ. და ეს წართმევა შეიძლება დუმაში ნალაპარაკევ სიტყვევით კი არა, არც დარწმუნებითა და ხვეწნით, არამედ ნამდვილი ბრძოლით, ნამდვილი, საყოველთაო ხალხური აჯანყებით.

და იფიქრა ვინმემ ამ დიდებულ საქმეზედ,—რომ მოეწყო ეს საყოველთაო ხალხური წინაალმდეგობა? სად არის ჩვენში კავშირები მოქალაქეთა არა თუ სამაზრო, არამედ საგუბერნიო ქალაქებშიაც კი, რომელთაც ადგილობრივ შეეძლოთ მოესპოთ ადგილობრივი ადმინისტრაციის ძალ-მომრეობა, შეეჩერებინათ ძალმომრეობის ქარიშხალი, რომელიც ხალხს ანადგურებდა? სად არის ჩვენში კავშირები, რომელთაც შეეძლოთ შეერთებიათ ადგილობრივ გლეხები მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენში ამგვარი კავშირები არ არსებობს, და რასაკვირველია ვერც დუმა, ვერც ცალკე დეპუტატები პეტერბურგიდან ვერ მოაწყობენ ამგვარ კავშირებს ნამდვილ განთავისუფლებისათვის მებრძოლ მუშათა და განადგურებულ გლეხთა.

და იმავე დროს პირობანი ჩვენი ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებისა იმგვარი არიან, რომ განგრძობა ამგვარი წეს-წყობილებისა იქმნებოდა ნამდვილი დაღუპვა ხალხისა. ხალხს არა აქვს არც მიწა, არც პური, არც სამუშაო. კონტრ-რევოლიუციის ქარიშხალმა უკანასკნელი ცხოვრების სახსარიც კი მოუსპო ხალხს. და თუ ხალხმა ჯერ კიდევ ვერ შექმნა ეს შეერთებული წინაალმდეგობა, ჩვენ მაინცა ვხედავთ მთელ რუსეთში, ყველა ეროვნებათა შორის პირდაპირ აჯანყებას პიროვნებათა და ცალკე ჯგუფთა,—ადმინისტრაციისა, კაპიტალიზმისა და თავად-აზნაურობის წინაალმდეგ,—წინაალმდეგ ყველა პრივილეგიათა და ბურჟუაზიის წმინდათა-წმინდა კერძო საკუთრებისა.

რუსი, აქამდის დაჩაგრული და დამონებული, ეხლა აჯანყებულია, და რაც უფრო მხეცდება მთავრობა და ბიუროკრატია, მით უფრო ვითარდება და ფართოვდება ეს პირადი და ჯგუფთა აჯანყება. ყოველ-დღიური პრესსა, თვით ოფიციალური და ოფიციოზური ორგანოები თვით მთავრობისა,—სავსენი არიან ამბებით, რომ მემამულეები გადასწვეს, ეკონომიები, ბანკები, მაღაზიები და სხვ. გაძარცვეს, დუქნები და ხაზეინები გაანადგურეს და გაძარცვეს; ყველა მთავრობისა და საფინანსო დაწესებულებანი ჯარით არიან დაცულნი, რკინის გზები სამხედრო ბანაკებად გადააქციეს, ქუჩაში გამვლელებს სჩხრეკენ და ეძებენ ბომბებსა და იარაღს, ყოველ კაცზედ ეჭვი არის მიტანილი მთელ რუსეთში, მთელ რუსეთს ეჭვის თვალით უყურებს მისი საკუთარი მთავრობა!

დიახ, პირადად და ჯგუფებად რუსეთის ხალხებმა იმპერიას ომი გამოუცხადეს,—ეკონომიურ, პოლიტიკურსა და სოციალურს.

ნამდვილი რევოლიუცია მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც თვით ინდივიდი ჯანყდება და გამზადებულია თავ-განწირული ბრძოლისათვის, როდესაც რეგლამენტაციებით, მანიფესტებითა და ბრძანებით კი არ ამოძრავებენ ხალხს, არამედ ეს უკანასკნელი მიისწრაფის ბრძოლის ველზედ თავისი სულის კვეთებითა და პირადი რევოლიუციონური ინიციატივის თავ-განწირულიაბით.

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია მოახდინა იმ აჯანყებულმა ინდივიდმა, ყველგან საფრანგეთში, რომელიც შეუერთდა ყველგან თავის მსგავსთ და ბოლოს შეჰქმნა ის საშინელი რევოლიუციონური ძალა, რომელსაც ეწოდებოდა თვით-მპყრობელი ხალხი. და მათთვის ეს ხალხური თვითმპყრობელობა, უბრალო სიტყვა არ იყო. თავისი საკუთარი ინიციატივით, თავისი საკუთარი გადაწყვეტილებით ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებმა მოსპეს ადგილობრივი მონობა. მოჰკუნტეს და შეაშინეს ადგილობრივი წურბლები და ექსპლოატატორები, რომელთაც ისინი უწოდებდენ დამამშევლებს (les affameurs).

აი სწორედ ამ ხანაში შედის, ჩვენი ფიქრით, რუსეთის რევოლიუცია და ყოველი პატიოსანი კაცის მიზანი უნდა იყოს ეხლა შეჰკრიბოს ყველა ძალები, განავითაროს ვაჟ კაცობა და თავ-განწირულობა აჯანყებულ პიროვნებათა. და როდესაც პირადი ჯგუფთა ძალები შეერთდებიან, მაშინ აღჩნდება მართლაც ნამდვილი თვითმპყრობელი ხალხი, რომელიც მოსპობს ყოველგვარ მონობასა და ძალ-მომრეობას.

და მშვენიერი დეკლარაცებითა და სხვა ჰანგებზედ გალობით კი არ გადაწყდება ის დიდი „კითხვები“, რომელსაც დღეს ებღაუჭებიან დუმის წევრები, არამედ იმ დიდი რევოლიუციონური ხალხური მოქმედებით, რომელსაც ეწოდა აჯანყებული საფრანგეთისა და ინგლისის ხალხი. რევოლიუცია მოდის რუსეთში, თანდათან ახლოვდება იგი. და ამას ჰგრძნობს თვით ხალხიც და მთავრობაც. მთავრობა ალბად ემზადება.

ჩვენი ვალი კი როგორია?

სრულიად უბრალო, თუმცა თავ-განწირული: შევქნათ ისეთივე რევოლიუციონური, ხალხური შეკავშირებული ძალა, როგორიც მოქმედობდა ინგლისისა და საფრანგეთის რევოლიუციათა დროს, მაგრამ ბურჟუაზიას კი არ უნდა ჩავუგდოთ ხელში ყოველისფერი, როგორც ესა ჰქნეს ზემოხსენებულ ქვეყნებში. მშვენიერ მოლაპარაკეთა და კანონმდებლობით მოთამაშეთ კი არ უნდა მივანიჭოთ უფლება „ხალხის მარვისა“, არამედ თვით ხალხი, რევოლიუციონური კომმუნები უნდა გახდენ თავიანთი თავის პატრონი, გამოიყენო ეს რევოლიუცია რაც შეიძლება ფართოდ სრულ ეკონომიურ პოლიტიკურ და სოციალურ განთავისუფლებისათვის. დაე, ყველას ახსოვდეს, რომ ზევიდამ არა რაი მოდის, მხოლოდ ხალხ შეუძლია თვით თავისი თავის განთავისუფლება, და სრულ განთავისუფლება.

მაშ გავსწიოთ რაც შეიძლება წინ, შევხდეთ რევოლიუციას სრული ენერგიით, რადგანაც, თუ ბურჟუაზიამ გამარჯვა, სახელმწიფო ს.-დ—იულიც რომ იყოს, არ იწამებ იმის მე-20-დ ნაწილსაც, რასაც ხალხი მოიპოვებს რევოლიუციის დროს.

ამიტომ ჩვენი უმთავრესი ვალია არა მარტო რევოლიუციის მომზადება და შეხვედრა, არა მარტო მოქმედება რევოლიუციის დროს, არამედ უმთავრესად დაცვა რევოლიუციის ნაყოფისა ბურჟუაზიისა და სახელმწიფოს წინაალმდეგ.

## კომუნიზმი და ანარხია

პ. კროპოტკინისა.

### II

რასაკვირველია ყოველივე ეს ჯერ კიდევ სრულიდ არ მოასწავებს კომუნიზმის განხორციელებას, მაგრამ დედა ა რი ყველა ამ დაწესებულებათა შეიცმვს კომუნისტური პრ ნციპის ნაწილს: განსაზღვრული ქირის მაგივრად, ამდენად ამდენად წელიწადში, თქვენა გაქვთ უფლება დაიკმაყოფილო განსაზღვრული ნაწილი თქვენ მოთხოვნილებათა,—გარდ რასაკვირველია ფუფუნების საგანთა ამ მოთხოვნილებებში ჯერ კიდევ ფულს იხდით ყველა ამაში, მაგრამ ახლოა დღე, როდესაც შრომითაც შეიძლება გადახდა: საძირკვე უკვე ჩაგდებულია. რასაკვირველია ბევრი უკლია ამ დაწესებ ლებებს ნამდვილი კომმუნისტური ხასიათი ჰქონდესთ; უწინ რეს ყოვლისა არა კომმუნისტურია, ჯერ ერთი, ის რომ ქ რა ფულით ხდება ადამიანს, და არა შრომით: მეორე ი რომ მხმარებელთ, კერძო საქმეებში მაინც, არა აქვსთ არ ვითარი ხმა საქმის წაყვანის მოწყობაში.

მაგრამ აგრეთვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი. დედა აზ ამ დაწესებულებათა რომ კარგად იყოს გაგებული, მაშინ ძნ ლი არ იქმნებოდა ეხლავეც, კერძო საქმის კაცისათვისაც მოეწყო იმგვარი კომუნა, სადაც პირველი პუნქტი (ე. ი. შრ მით ქირის გადება) იქმნებოდა განხორციელებული. აიღეთ გალიითად მიწა, ვსთქვათ 500 დესეტინა. ამ მიწაზე დაა ნებენ 200 სახლს,—თვითოეულს $^1/_4$ დესეტინა ბაღით. ნარჩენი მიწა კი მოხმარდება ყანებს, ბოსტნებსა და საზოგა ბაღებს. საქმის მოთავე ან აარჩევნიებს თვითოეულ ოჯახს, რ მელსაც ეს სახლები უჭირავს, რაც მისი სურვილი იქმნება თავი საჭმლიდან, რომელსაც იგი ამზადებს ყოველ დღე (რ

გორც ამერიკულ სასტუმროებში); ან და იგი აწოდებს მსურველებს გამომცხვარ პურს, ხორცს, მწვანილს, ჩაის და ყავას, —ვისაც რამდენი უნდა,—რომ თვითონ მოამზადონ საჭმელი სახლში (ნაბიჯი უკვე წარდგმულია მეთევზეთაგან, რომლებსაც სახლში მიაქვსთ პირ და პირ თევზი). გათბობა რასაკვირველია, ამერიკულად იქმნება მოწყობილი, საერთო ქურით, საიდამაც სითბო გადის ცხელი წყლის სავსე მილების საშუალებით. ყველა ამაში ამგვარი დაწესებულების პატრონი გახდევინებსთ თქვენ შრომითა,—ამდენ და ამდენ საათს დღეში,—ან ფულით, ამდენ და ამდენს დღეში. იმუშავეთ თქვენისავე ამორჩევით ყანაში, ბოსტანში, ან სამზარეულოში, ან ოთახები სწმინდეთ, ამდენ და ამდენ საათს დღეში, და თქვენი შრომა თქვენი ცხოვრების ანგარიშში შევა. ამგვარი დაწესებულების მოწყობა თუნდ ხვალაც შეიძლებოდა, და მხოლოდ ერთია გასაკვირველი,—რომ ეს აქამდის არ მოიგონა რომელიმე საქმის მოყვარე სასტუმროს პატრონმა *).

* * *

ალბად მკითხველი შეგვნიშნავს, რომ სწორედ აქ წაუხდებათ საქმე კომუნისტებს,—საერთო მუშაობის მოწყობის საქმე,—რადგანთაც ძლიერ ბევრი თემები დაიღუპნენ ამგვარად. სხვა არა იყოს რა, ასე სწერენ ძლიერ ბევრ წიგნებში. ეს კი სრულიად ასე არ მოხდება. კომუნისტიური თემები რომ იშლებოდნენ, ამისი მიზეზი საზოგადოდ საერთო შრომის მოწყობის საქმეში არ იყო.

ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა ამგვარი თემები არსდებობდენ ნახევრად სარწმუნოებრივი გატაცების საფუძველზედ. ამგვარ თემთა დამაარსებელთ გადაწყვეტილი ჰქონდათ გამხდარიყვნენ „კაცობრიობის მლალადებლებად“, „დიდ იდეათა წინასწარმეტყველებად“, და მაშასადამე დამორჩილებოდენ სასტიკ წესებს „მაღალ ზნეობის“ წვრილმან მოთხოვნილებისა, „გარდაქმნილიყვნენ“ თემობრივი ცხოვრების საშუალებით, და შეეწირათ მთელი თვისი დრო, როგორც შრომის დროს, ისე შრომის გარეშე,—თავის თემისათვის,—ეცხოვრათ მხოლოდ მისათვის.

ყველა ეს ძლიერ კარგია, ძლიერ მშვენიერიც; სწორედ ამგვარი თავგანწირულებაა საჭირო ახალ აზრთა ცხოვრებაში გასაყვანად. მაგრამ ამგვარი საქციელი ძველ მეუდაბნოეთა საქციელს ჰგავდა: როგორ შეიძლება—და ისიც უსაფუძვლოდ,—ადამიანს მოსთხოვო გახდეს რაღაც სხვად და არ იყოს ის, რაც ნამდვილად არის. და მხოლოდ სულ ცოტა ხანია მას აქეთ, რაც აღმოცენდენ თემები, განსაკუთრებით ანარხისტ-მუშათა მიერ მოწყობილნი, რომელთაც სრულიადაც არა აქვსთ იმისთანა დიდი „მიზნები‘, როგორც ზემოხსენებულ ხასიათის თემებს, არამედ მხოლოდ უბრალო მიზანი,—განთავისუფლონ თავი პატრონის ძარცვა-ყვლეფისაგან.

* * *

მეორე შეცდომა კომუნისტებისა ის იყო, რომ მათ უნდოდათ მაინც და მაინც ეცხოვრათ, როგორც **ოჯახს**, დაეარსებიათ „დიდი ოჯახი ძმათა და დათა“. ამისათვის ისინი ერთ შენობაში ესახლებოდენ, სადაც ისინი მთელ თავისს სიცოცხლეს ატარებდენ ერთსა და იმავე „დათა და ძმათა“ შორის, და მჭიდრო ცხოვრება, ერთ შენობაში,—ძნელი საქმეა. ორ ღვიძლ ძმასაც ვერ გაუძლია ხოლმე ხშირად ერთ სახლში, ერთ ბინაზედ. ამიტომაც დიდი შეცდომა იყო რომ თემის ყოველ წევრს აიძულებდენ ხოლმე ეცხოვრად „დიდი ოჯახის“ ცხოვრებით, იმის მაგიერ, რომ, პირიქით, თვითოეულისათვის მიენიჭებიათ უმეტესი თავისუფლება და უმეტესი დამოუკიდებლობა თვითოეული ოჯახის შინაგანი ცხოვრებისა. რუსის დუხობორებიც რომ სცხოვრობენ—ოჯახით თვითო ქოხში,—ესეც კი მეტი გარანტიაა მათი ნახევარ—კომმუნისტიური თემის შენახვისა, ვიდრე ერთ მონასტერში ცხოვრება.

შემდეგ,—პატარა თემს არ შეუძლია დიდი ხნის სიცოცხლე. ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც ძლიერ მჭიდროთ სცხოვრობენ გემზედ, საპყრობილეში, რომლებიც იღებენ გარეგან შთაბეჭდილებათა ძლიერ შემოფარგლულ რაოდენობას, ბოლოს და ბოლოს ერთი მეორის წინააღმდეგ აღრინდებიან ხოლმე (მოიგონეთ თქვენი საკუთარი შემთხვევა, რობინზონი თავისი ამხანაგებით). პატარა თემში კი საკმარისია ორი კაცი გადაეკიდოს ერთმანეთს, რომ გარეგან შთაბეჭდილებათა სიცოტავის გამო, თემი სულ დაიშალოს, და მეტადრე იმიტომაც ყოველთვის ამგვარი ძმობანი ერთმანეთისაგან განშორებულად სცხოვრობენ ხოლმე.

ამიტომ, როდესაც პატარა თემს აარსებენ, ყოველთვის წინდაწინ უნდა იცოდენ, რომ ის რამოდენიმე წელს ვერ გადააცილებს. რომ მან მეტი ხანი იცოცხლოს,—ეს საწყენიც იქმნებოდა. აქედან მხოლოდ იმ დასკვნას გამოვიყვანდით, რომ მისმა წევრებმა ან ერთმანეთი დაიმორჩილეს, ან სრულიად დაჰკარგეს პიროვნება. და რადგანაც ყოველთვის წიდაწინ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ პატარა თემი დიდხანს ვერ იცოცხლებს, ამისათვის ყოველთვის უნდა ვიქონიოთ ხოლმე ათი ან ოცი მაინც ამისთანა თემი, რომლებიც შეკავშირებულ იქმნებიან. ამ შემთხვევაში, თუ ერთმა წევრმა რომელიმე მიზეზის გამო მოინდომა თავისი თემის დატოვება, მეორეში მაინც გადავა, მის ადგილს კი სხვა ვინმე დაიჭერს. წინააღმდეგ ძმობა ილუპება ჩხუბებით, ამასთანავე (როგორც ეს ასე ხდება უმეტეს შემთხვევაში) მისი მთელი ქონება ჩაუვარდება ხოლმე ხელში მის ერთ რომელიმე წევრს—ყველაზედ უფრო ეშმაკ და მოხერხებულ „ძმას“. ამ წინადადებას ძმობათა შორის კავშირის დამყარების შესახებ, მხურვალედ ვაძლევ ყველა იმათ, ვინც ისევ სცდილობს კომმუნისტურ საზოგადოებათა დაარსებას. ეს აზრი თეორიიდან არ დაბადებულა, არამედ უკანასკნელ წელთა გამოცდილებიდამ, განსაკუთრებით ინგლისში, სადაც რამოდენიმე თემი ჩაუვარდა ხელში რამოდენიმე „ძმას“ —სწორედ იმიტომ რომ უფრო ფართო ორგანიზაცია არ არსებობდა.

* * *

პატარა თემები, რომლებიც მრავლად დაარსდა ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, დაიღუპნენ აგრეთვე ერთი ძლიერ ღრმა მიზეზის გამო. ისინი გაშორებულ იყვნენ „ამა ქვეყნისაგან.“ და ბრძოლა და ბრძოლით განცხოველებული

*) მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დავსწერე, ამერიკაში ვიყავი იქ კემბრიჯში (ბოსტონის .ხლოს) გამართულია უნივერსიტეტთან ერთად უზარ-მაზარი მშვენივრად მოწყობილი სასადილო მდიდარ სტუდენტთათვის, და მეორე დიდი, არა ნაკლებ მშვენიერი, მაგრამ იაფი სასადილო ღარიბ სტუდენტთათვის, მაგრამ რადგანაც ზოგიერთი სტუდენტი აქაც ვერ ირჩენს თავს სიღარიბის გამო, მათ ავალებენ ხოლმე მოსამსახურის როლს, რომ სადილის დროს ემსახურონ ხოლმე მოსადილეთ. ამერიკელი სტუდენტები კი, როგორც ეს ცნობილია, დიდის სიამოვნებით სთანხმდებიან. ამგვარად ისინი სადილის ფასს ფულით კი არა, შრომით იხდიან, განსაზღვრული ანგარიშით. არავითარი დაბრკოლება არ იქმნება, რომ ამ სასადილოებთან ერთად თავისი ფერმაც გამართონ: თურმე ბოსტანი დიდი მწარმოებელი ყოფილა მიწის ნაყოფთა,—ფულის ტრიალის მიხედვით,—პირველი საბაღოსნო და საბოსტნო ცენტრი მთელ მასაჩუსეტსის შტატში ამაზედაც გვქონდა იქ ლაპარაკი და თანაგრძნობით მიიღეს ჩემი აზრი. სასკოლო ფერმებს, ალბად, მალე გააშენებენ ამერიკაში; უნივერსიტეტის ფერმის გაშენებას კი რაღა შეუშლის ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება კი უფრო იზიდავს მომქმედ ადამიანს, ვიდრე კარგი სადილი. მოთხოვნილება ადამიანთა შორის ცხოვრებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაში განბანისა, ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისა, სხვათა ცხოვრებით ცხოვრებისა და მათი ტანჯვით ტანჯვისა,—ეს მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდია ახალ-გაზრდებში. ამიტომაც, — როგორც ეს ჭეშმარიტად გვითხრა ნიკოლოზ ჩაიკოვსკიმ, — რომელიც დიდად გამოცდილი იყო ამ შემთხვევაში, — ახალგაზრდა, როგორც რომ უსრულდება თვრამეტიოდე წელიწადი, ყოველთვის აუცილებლად სტოვებს თავის კომმუნას; და ახალგაზრდობა ყოველთვის უსათუოდ დასტოვებს თავის თემებს, თუ ეს უკანასკნელნი არ არიან შეერთებულნი მთელ ქვეყანასთან და არა სცხოვრობენ მისი ცხოვრებით. უმეტესი ნაწილი კომმუნათა (გარდა ორისა, რომელიც ჩვენმა მეგობრებმა დაარსეს ინგლისში, დიდი ქალაქების ახლოს), აქამდის უწინარეს ყოვლისა სთვლიდა აუცილებელ საჭიროდ უდაბნოში განდგომილიყო.

აღვნიშნავ კიდევ, რომ კომმუნისტები ამას გარდა სხვანაირადაც სცდებოდნენ: ისინი მუქთად იღებდნენ ან იაფ ფასად ჰყიდულობდნენ მიწებს იმისთანა ადგილებში, რომელნიც ჯერ მჭიდროდ არ იყვნენ დასახლებულნი, და მათ, გარდა აი გაჭირვებათა, რომელნიც თავზე ატყდებოდათ ახალი მიუჩვეველი ცხოვრების გამო, ახალი კიდევ ემატებოდათ;— ისინი იძულებულნი იყვნენ ებრძოლათ ყველა იმ პირობათა წინააღმდეგ, რომელიც საშინლად უძნელებს ცხოვრებას ყველა ახალ-გადასახლებულთა ახალ ადგილებზედ, დიდ ქალაქთა და გზათა დაშორებით. ეს გაჭირვებანი კი, როგორც გამოცდილებით არის ცნობილი, დიდი არიან. მართალია იმათ მიწას ძლიერ იაფ ფასად უთმობდნენ, მაგრამ ნიუკასტლის ახლო კომმუნამ დაგვიმტკიცა, რომ მატერიალური მხრით თემი უკეთესად და უფრო მალე უზრუნველ-ყოფილ იქმნება, თუ **მებოსტნეობასა და მებაღეობას დაიწყებს** (უმეტეს ნაწილად ორანჟერეებში და საორთქლეში), და არა ყანების გაშენებას; ამასთანავე დიდ ქალაქთან სიახლოვე მას შეძლებას აძლევს გაასაღოს ხილი და მწვანილი, რომლითაც შეიძლება დიდი მიწის საარენდო რენტის გადახდაც. თვით შრომა მებაღისა და მებოსტნისა უფრო ძლიერ ეადვილება ქალაქის მცხოვრებს, ვიდრე ყანის მუშაობა,—და რასაკვირველია,—ვიდრე ახოთა გაკაფვა და ტყის განწმენდა უდაბურ ადგილებში.

* * *

ბოლოს კიდევ ერთი, შეიძლება უმთავრესი მიზეზიც იყო ამ თემთა დაშლისა,—ეს იყო ყოველთვის სურვილი უფროსის გაჩენისა. ისთემები, რომელნიც ძლიერ ფარგლავდნენ თავიანთი მთავრობის ასპარეზს, ან სულ არ ჰყავდათ მთავრობა, როგორც მაგალითად „ახალგაზრდა იკარია“ ამერიკაში, კიდევ ჰყვაოდნენ; უფრო ხანგრძლივი იყო მათი სიცოცხლე, ვიდრე სხვა კომმუნათა(35წელი). ეს სრულიად ადვილი გასაგებია. ყველაზედ უფრო ძრიელი უთანხმოება ადამიანებს მოსდით უპირატესობისა, უფლების ხელში ჩაგდების გამო. პატარა თემში კი დავა უფლების ხელში ჩაგდებისათვის მით უმეტეს ხელს უწყობს თემის დაშლას. დიდ ქალაქში ჩვენ კიდევ შეგვიძლიან ვიცხოვროთ ჩვენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შორის, რადგანაც იძულებულნი არა ვართ მათთან ყოველ წუთიერი შეტაკება ვიქონიოთ, მაგრამ როგორ უნდა მოვრიგდეთ მათთან პატარა ოჯახში, სადაც ყოველ წუთში იქმნება ჩვენ შორის შეტაკება; აქ პოლიტიკური დავა და ძალის ხელში ჩაგდების ინტრიგა გადადის სახელოსნოში, ბოსტანში, ბოსელში, დარბაზში სადაც ხალხი დასასვენებლათ იკრიბება,—და ცხოვრება აუტანელი ხდება.

* * *

აი უმთავრესი მიზეზები აქამდის დაარსებულ თემთა დაშლისა. რაც შეეხება საზოგადოთ კომმუნისტურ შრომას, **სათემო წარმოებას**, სწორეთ ყოველთვის ეს იყო სრულიად ადვილი განსახორციელებელი. არც ერთ კომერციულ საქმეში მიწის ღირებულობის ზრდა, რომელიც ნაყოფია ადამიანის შრომისა, არ ყოფილა ისეთი დიდი, როგორც თვითეულ ამერიკისა ან ევროპის თემში, რომელიც დაარსებული იყო ამ უკანასკნელ 100 წ. განმავლობაში. არც ერთ წარმოების დარგი არ იძლეოდა იმდენს მოგებას, როგორც სამრეწველო წარმოებანი, დამყარებული კომუნისტურ პრინციპზედ,—იქნებოდა ეს წისქვილი, მაუდის ქსოვა, ხე-ტყის მოჭრა, თუ ხეხილის გაშენება. შეგვიძლიან დავასახელოთ ასობით თემები, სადაც რამოდენიმე წლის განმავლობაში მიწა რომელსაც წინად არა ჰქონდა თითქმის არავითარი ღირებულება, ხდებოდა ათჯერ და ასჯერაც მეტი ღირებულების მქონე.

წარმოებაში შეცდომები იშვიათი არ არის. როგორც კომუნისტურ თემებისათვის ისე სხვაგან, მაგრამ ცნობილია რომ მრეწველობაში წლიური რამდენობა გაკოტრებისა აღწევს 60-80 ყოველ 100 საქმეში. ყოველი ხუთ ახალ დაწყებულ საქმიდგან სამი ან ოთხი კოტრდება უსათუოთ პირველ ხუთ წლის განმავლობაში, კომუნისტურ თემებს კი არავითარი რამ ამგვარი არ განუცდიათ.

ამიტომ, როცა სიტყვა მახვილი ბურჟუაზიული გაზეთები ურჩევენ ანარხისტებს დაესახლონ ცალკე კუნძულზედ, დააარსონ იქ თავის საკუთარი კომუნა,—ჩვენ განსწავლულით წარსულის გამოცდილებით არაფერი წინააღმდეგი არა გვაქს რა ამ წინადადებისა, ჩვენ მხოლოთ მოვითხოვთ რომ ეს საფრანგეთის კუნძული იყოს (île de France, სადაც არის პარიზი) და გამოგვიყონ საზოგადო სიმდიდრიდგან ჩვენ ხვედრი, რამდენიც ერგება თვითეულს კაცს, მაგრამ რადგანაც არც საფრანგეთის კუნძულს მოგვცემენ, არც საზოგადო კაპიტალისაგან ჩვენს წილს გამოგვიყოფენ, ამიტომ ჩვენ როდისმე თვითონ წავიღებთ მათ, სოციალური რევოლიუციის ძალით. და მართალი რომ ვსთქვათ პარიზი და ბარსელონა არც ასე დაშორებულნი იყვნენ ამ აზრს 1871,—მის შემდეგ კი კომუნისტურ აზრებმა ძლიერ მოიდგეს ფეხი მუშათა შორის. ამასთანავე ყველაზედ უფრო საგულისხმო ის არის რომ ეხლა მუშებს ძალიან კარგათ ესმით, რომ თუ რომელიმე ქალაქმა შემოიღო კომუნისტური ცხოვრების წესი და იმავე დროს განზედ დასტოვა სოფლები, მაშინ ეს ქალაქი ძლიერ ბევრს დაბრკოლებას შეხვდებოდა.

კომუნსტური ცხოვრების წესი უნდა დამყარდეს ერთბაშათ მთელს კლასში,—მაგალითად ამერიკის მთელს ერთ შტატში, ოჰაიოში, ან იდახოში. როგორც ამას ამბობენ ჩვენი ამერიკელი მეგობრები სოციალისტები. ისინი სრულს სიმართლეს ამბობენ. პირველი ნაბიჯი კომუნიზმის განხორციელებისა უნდა გვარიან დიდ სამრეწველო და სამეურნეო კლასში, და არა მარტო ერთს ქალაქში. ქალაქს უსოფლოთ ცხოვრება არ შეუძლიან.

## III

ჩვენ ისე ხშირად შეგვხვედრია ხოლმე სახელმწიფო კომმუნიზმის უსაფუძვლობის დამტკიცება, რომ ეხლა აღარ დავუბრუნდებით ჩვენი საბუთების ჩამოთვლას. ყველაზედ უკეთესი საბუთი ის არის, რომ თვით სახელმწიფოს მომხრეთ,—ესე იგი დამცველნი სოციალისტური **სახელმწიფოისა**,—თვითონ

ალარა სწამთ სახელმწიფო უღელ ქვეშ მყოფი კომმუნიზმი.

ზოგნი მათგანი ისე არიან გატაცებულნი „სახელმწიფო ძალის“ (Pouvoirs publics) ხელში ჩაგდებით **თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში**, რომ ისინი ალარც კი სცდილობენ გამოირკვიონ, რას იგულისხმებენ ისინი მისთანას — როდესაც ამბობენ სოციალისტეურ სახელმწიფოს, — რაიცა არ იყოს იმავე დროს განხორციელება სახელმწიფო კაპიტალიზმისა, ე. ი. იმგვარი წეს-წყობილებისა, რომელშიდაც ყოველივე მოქალაქე ხდება მუშად, რომელსაც ქირას სახელმწიფო აძლევს. როდესაც ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ სწორედ ეს არის მათი მისწრაფება, მათ გული მოსდით; და მიუხედავად ამისა სრულიადაც კი არა ცდილობენ გამოირკვიონ, რომელი სხვა ფორმა საზოგადოებრივ განწყობილებათა სურთ განახორციელონ. ამისი აზრი ადვილი გასაგებია. რადგანაც მათ არა სწამთ ახლო დროში მოხდენა სოციალური რევოლიუციისა, მათ სურთ ხელში ჩაიგდონ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძალის ნაწილი, და მომავალს კი ეუბნებიან, — თვით შენ გამოირკვიე შენი მიმართულებაო.

რაც შეეხება იმათ, რომელთაც სცადეს დაეხატათ მომავალი საზოგადოების სურათი, — როდესაც ჩვენ მათ გავახსენეთ რომ სახელმწიფო პრინციპის ფართო განვითარებით ისინი იმ ცოტა პირად თავისუფლებასაც ჰკლავენ, რომელიც კაცობრიობამ ბრძოლით მოიპოვა, — ისინი საზოგადოდ გვიპასუხებდნენ ხოლმე, რომ სრულიადაც არა სურთ მათ მთავრობა, არამედ სტატისტიკური კომიტეტები. მაგრამ ეს უბრალო სიტყვის თამაშია. ეს ძლიერ კარგად ცნობილია ეხლა, რომ ერთად ერთი ხეირიანი სტატისტიკა თვით პიროვნებიდან გამოდის. მხოლოდ თვითოეულ ცალკე პირს შეუძლია მისცეს სწორი სტატისტიკური ცნობები თავისი წლოვანების, საქმისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, აგრეთვე იანგარიშოს რაოდენობა ნაწარმოებ და დახარჯულ საგანთა. სტატისტიკა ეხლა სწორედ ასე იკრიბება, როდესაც სტატისტიკოსებს მართლა სურთ რომ მათი რიცხვები მართლა სარწმუნო იყოს; ასე ხდებოდა სხვათა შორის რუსეთში „ПОДВОРНЫЯ ОПИСИ“ პატიოსან ახალგაზრდა საერობო სტატისტიკოსთა მიერ. კითხვები რომელიც უნდა დაუყენონ თვითეულ მცხოვრებს, შემუშავებული არიან საზოგადოდ დანიშნულ კაცთა მიერ კი არა, არამედ თავისუფალ მსურველთა მიერ (სამეცნიერო სტატისტიკურ საზოგადოებათა მიერ), და სტატისტიკურ კომიტეტთა როლი ეხლა იმაში მდგომარეობს რომ ისინი არიგებენ დაბეჭდილ ფურცლებს ჩამოწერილი კითხვებით, და მერე გადაარჩევენ ხოლმე ამ ფურცლებს, შეადგენენ ჯამს და ანგარიშობენ საანგარიშო ანქანებით. ამიტომ, ის, ვითომც სოციალისტს სწორეთ ასე ესმის სახელმწიფო და არავითარი სხვა ძალა არა სწამს ამ სახელმწიფოსათვის (თუ ამას ისინი გულწრფელათ აღიარებენ), — ეს მხოლოდ პატიოსნურ უკან დახევას ჰნიშნავს და სხვას არაფერს. სახელმწიფოს სახელით, ყოველ დროს თვით სახელმწიფო სოციალისტებიც იგულისხმებდნენ არა სასტატისტიკო ფურცლების დამტარებლებს, არა სტატისტიკის მოანგარიშეთ, **არამედ ხალხის ცხოვრების ნამდვილ გამგეთ.** ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ ძველმა იაკობინელებმა ცოტა არ იყოს დაუკლეს ამ უკანასკნელ დროში დიკტატურისა და სოციალისტური ცენტრალიზაციის ქება-დიდებას, რასაც იგინი ამ ოცდაათის წლის წინად ისე საშინლად ეტრფოდნენ, ეხლა ვერც ერთი მათგანი ვერ იტყვის, რომ კარტოფილის მოყვანა და ჭამა ბერლინიდგან იყოს გაწესრიგებული, გერმანული ფოლკ-შტატის მიერ (ხალხური სახელმწიფო). ამ გვარ სისულელეს უკვე აღარავინ ლაპარაკობს,

ამ გვარად კომუნისტური სახელმწიფო არის უტოპია, რომელსაც თვით ისინი უარყოფენ ვინც პირველათ მისი დამცველნი იყვნენ, — და დროა განვიხილოთ სხვა უფრო სერიოზული კითხვა: ანარხიული ანუ თავისუფალი, უსახელმწიფო

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## მუშათა მოძრაობის ისტორიიდან

### ინტერნაციონალი

### V

### ბრიუსელის კონგრესი. (1868)

კონგრესს დაესწრო 96 დელეგატი. რადგან კონგრესი ბელგიაში შეიყარა. დელეგატთა შორის უმეტესობას ბელგიელნი შეადგენდნენ. საფრანგეთში ინტერნაციონალის წევრები დევნილ იყვნენ. ნაპოლეონ III ერთხან ჰფიქრობდა ინტერნაციონალის სიმპატიის მოხვეჭას და მოშინაურებას, მაგრამ რაკი შენიშნა, რომ ინტერნაციონალისაგან ის ზიზღის მეტს ვერაფერს ვერ დაიმსახურებდა, მის წევრებს საშინელი დევნა დაუწყო. მიუხედავად ამისა კონგრესს დაესწრო 18 ფრანგი დელეგატი. ციხეში დამწყვდეულმა წევრებმა ინტერნაციონალისა, მის მეოთხე კონგრესს სალამი უძღვნეს წერილით, რომელიც წაკითხულ იქნა კონგრესის გახსნის თანავე. წაკითხულ იქნა აგრეთვე მ. ბაკუნინის წერილი, რომლითაც ის ინტერნაციონალს უცხადებდა თავის სრულ თანხმობას და სიმპატიას. შემდეგ კონგრესი შეუდგა მუშაობას. უნდა გარჩეულიყო შემდეგი კითხვები:

1. როგორ უნდა მოექცეს მუშათა კლასი ომის დამწყებს, თუ ვინიცობაა და ომი მოხდა ორ ან რამოდენიმე მთავრობათა შორის?

2. გაფიცვები, საერთო თავ-დასაცავ კავშირთა ფედერაციები, დაფუძნება სამედიატორო სამართლისა.

3. გავლენა მაშინებისა მუშათა მდგომარეობაზე და სამუშაო ქირაზე.

4. საერთო განათლება.

5. მუშათა საერთაშორისო კრედიტი.

6. მიწის საკუთრება (სახნავი მიწა, ტყეები, მადნები, არხები, რკინის გზები და სხვა).

7. შემოკლება სამუშაო დღისა ფაბრიკა-ქარხნებში.

8. საჭიროებანი მუშათა.

I. ამ კითხვათა სათავეში ომიანობის საკითხია მოთავსებული. ამას თავის მიზეზი აქვს. ამ დროს გერმანიასა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა საშინლად გამწვავებული იყო. ინტერნაციონალისათვის, ამ მუშათა ორგანოსათვის, საჭირო იყო თავის აზრის გამოთქმა. ომი, როგორიც უნდა იყოს მისი შედეგი, ყოველთვის მავნებელია მუშათა კლასისათვის. ომში ან ერთი ან მეორე ხომ უნდა დამარცხდეს და დამარცხებულ ნაციის პროლეტარიატს მოელის გაჭირვება, რადგან დამარცხებას ყოველთვის მოსდევს კრიზისები. ეკონომიურ კრიზისს შეიძლება გონებრივი კრიზისიც მოემატოს, რადგან დამარცხებულ ნაციაში ყოველთვის იღვიძებს შოვინისტური გრძნობა და სურვილი შურის ძიებისა. საფრანგეთი დღესაც გრძნობს მავნე შედეგებს 1870-71 წ. დამარცხებისა. შურის მაძიებელთა პარტია (Parti des revenchards) დღემდის აბრკოლებს პროგრესის დაჩქარებით სვლას იქ. რაც შეეხება გამარჯვებულ ნაციას, იქ ხომ შოვინიზმი საბოლოოდ იკიდებს ფეხს, და თუ ეს გამარჯვებული ნაცია ერთობ დიდია და მისი მდგომარეობა

კომუნიზმი წარმოადგენს თუ არა რომელიმე ხიფათს პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის?

გამოიწვევს თუ არა იგი პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას და პირადი ინიციატივის დახშობას?

*
* *

საქმე იმაშია რომ, როდესაც ჩვენ მსჯელობა გვაქს თავისუფლების შესახებ, იძულებული ვართ ანგარიში გაუწიოთ ყველა იმ ცრუ რწმენათა, რომელნიც მემკვიდრეობით გვაქს გადმოცემული მთელ საუკუნეთა მონობისა და სარწმუნოებრივი მორჩილების მიერ.

ეკონომისტები გვეუბნებიან, რომ პატრონსა და მუშის შორის დადებული პირობა, რომელზედაც მუშა თანხმდება შიმშილის შიშით, ნამდვილი თავისუფლება არისო, ყოველი პარტიის პოლიტიკანები თავის მხრით სცდილობენ აგრეთვე დაგვარწმუნონ რომ თანამედროვე მდგომარეობა მოქალაქისა, რომელიც ყოვლათ შემძლე სახელმწიფოს ბრჭყალებში გაება, — აგრეთვე ნამდვილი თავისუფლება არისო.

ბოლოს მორალისტები და იმისთანა უკიდურესნიც კი, როგორიც იყო მილლი და მისი მრავალნი მიმდევარნი, საზღვრავენ თავისუფლების ცნებას შემდეგნაირად; **თავისუფლება არის უფლება იმოქმედო ყოველ მხრივ, მხოლოდ ისე, რომ არ შეზღუდო ამგვარივე უფლება სხვათა**. ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო იმის შესახებ, რომ სიტყვა „უფლება," რომელიც გარდმონაცემია უძველესი გაურკვეველ დროიდან, ან არაფერს არ ამბობს, ან ძლიერ ბევრ რამეს; და მილლის განსაზღვრამ აიძულა ფილოსოფოსი სპენსერი, ბევრი სხვა მწერალი, და ზოგიერთი ინდივიდუალისტი ანარხისტიც, როგორც მაგალითად ტოკერი, გაემართლებიათ და აღედგინათ სახელმწიფოს ყველა უფლებანი,—სამსჯავრო, სასჯელი და სიკვდილით დასჯა;— ამ გვარად მათ სრულიად აღადგინეს იგივე სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც ისინი პირველად ისეთის საშინელის იერიშით გაილაშქრნენ. ამასთანავე „ჩვენი თავისუფალი ნებისა" ყოველთვის დაფარული იყო ყველა ჩვენს მსჯელობაში.

*
* *

გარდა ადამიანის ნახევარ-შეუგნებელ მოქმედებათა, მის ყოველ შეგნებულ მოქმედებათ (მხოლოდ ამ უკანასკნელზედ აქვს გავლენა სარწმუნოებას, კანონს და დასჯის სისტემებს), წინ უძღვის ყოველთვის რომელიმე მსჯელობა.—„მოდი წავალ სასეირნოთ"—ვფიქრობთ ჩვენ...—„არა, მეგობარს დავპირდი ვნახო" გავიფიქრებთ აგრეთვე. ან კიდევ სხვა მაგალითი:

„სამუშაო უნდა გავათავო," ან და—ცოლსა და ბავშვებს მოეწყინებათ უჩემოთ, ან და კიდევ: „ადგილს დავკარგავ თუ სამუშაოთ არ წავედი."

აი ამ უკანასკნელ მსჯელობაში გამოჩნდა შიში დასჯისა. ზემოხსენებულ სამ შემთხვევაში კი კაცს მხოლოდ თავის—თავთანა ჰქონდა საქმე,—თავის პატიოსან ჩვეულებასთან, თავის პირად სიყვარულთან და აი ამაშია განსხვავება თავისუფალ და არა თავისუფალ მდგომარეობათა შორის. კაცი, რომელიც იძულებულია სთქვას: მე უარს ვყოფ ამა და ამ კმაყოფილებას, რადგანაც სასჯელის მეშინიან,"—ეს კაცი თავისუფალი არ არის.

და ჩვენც ვამტკიცებთ, რომ ადამიანი უნდა განთავისუფლდეს სასჯელის შიშისაგან, უნდა მოისპოს თვით დასჯაც; ადამიანს **შეუძლიან** თავისი ცხოვრება მოაწყოს ანარხიულათ და მაშინ გაქრება შიში სასჯელისა და განკიცხვისაც კი.

ამ იდეალისაკენ მივისწრაფით ჩვენ.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ ადამიანს **არ შეუძლიან** განთავისუფლდეს თავისი პატიოსნების ჩვეულებისაგან (პატიოსნათ აღასრულოს მიცემული სიტყვა), არც თავის სიმპატიათაგან (სურვილი არაფერი ატკინოს ან არ აწყენინოს მათ, ვინც უყვარს, ვისაც არ უნდა მოატყუოს). ამ აზრით ადამი-

---

საერთაშორისო ურთიერთობაშიც დიდ მნიშვნელოვანია,—მისი გამარჯვება შეიძლება შეიქნას დასაწყისად რეაქციისა მთელს ევროპაში; მისი გავლენის გაძლიერება კი შეიძლება შეიქნეს რეაქციის წაქეზებად, გერმანიის მოკავშირეთ. გამარჯვება, მაგალითად, უსათუოდ აღნიშნავდა ევროპიულ პოლიტიკაში სარეაქციო ტენდენციების გამარჯვებას. როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება უსათუოდ მილიტარიზმის გაძლიერებასა ნიშნავს, მილიტარიზმი კი, რა მხრიდანაც უნდა გავსინჯოთ მისი შედეგები, მავნეა პროლეტარიატისთვის. ამისათვის ინტერნაციონალმა უკვე თავის პირველ კონგრესზე აღნიშნა საჭიროება მუდმივი არმიის მოსპობისა და მილიციის დამყარებისა. მილიციას ინტერნაციონალი იმისათვის თხოულობდა, რომ ომის მოხდენის ან არ მოხდენის შეძლება უნდოდა თვით ხალხისათვის გადაეცა. რადგან ამ დროს ომი შესაძლებელი სჩანდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის, ამისათვის ამ კითხვის შესახებ საერთო რეზოლიუციის შედგენა კონგრესმა მიანდო საფრანგეთის და გერმანიის დელეგატებს. მათ შეიმუშავეს და წარუდგინეს კონგრესს შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც უკამათოდ იქნა მიღებული:

რადგან მართლ-მსაჯულება საკმარისია, როგორც სახელმწიფოსა და ნაციათა შორის, ისე კერძო მოქალაქეთა შორის ურთიერთობის დასამყარებლად;

რადგან ომი ამყარებს ძალას უფრო ძლიერისა და არა უფლებას;

რადგან ომი ის სახსარია, რომელიც ხალხს პრივილეგიის მქონე კლასების ან მათ წარმომადგენელ მთავრობაების მონად ხდის;

რადგან ის აძლიერებს დესპოტიზმს და ახჩობს თავისუფლებას (საბუთი—უკანასკნელი ომი იტალიასა და გერმანიის შორის);

რადგან ომი აძლიერებს უვიცობას და სილატაკეს, აუბედურებს და ანგრევს ოჯახებს, ყვრნის იმ ადგილს სადაც ჯარი იმყოფება;

რადგან ქონება და სიცოცხლე ხალხთა იხმარების იმისათვის, რომ დაცულ იქნას მასში პირველ ყოფილი მხეცური ინსტიკტები.

რადგან იმ საზოგადოებაში, რომელიც შრომაზეა დამყარებული ძალა თავისუფლების და თანასწორ უფლებოვანების მსახური უნდა იყოს და რადგან ძალა უნდა იყოს გარანტია უფლებისა და თავისუფლებისა და არა სახსარი დამონებისა თუნდაც ერთად ერთი მარგე წევრისა;

რადგან ევროპის ეხლანდელ მდგომარეობაში მთავრობები არ წარმოადგენენ მუშათა კანონიერ ინტერესებს; თუ ერთი მხრიდან ომის უმთავრესი მიზეზი ეკონომიურ ექვილიბრიუმის არ არსებაა და, მაშასადამე, მოსპობილ იქნება მხოლოდ სოციალური რეფორმით, მაგრამ მას, მეორე მხრით, აქვს მეორე მიზეზიც—ძალ-მომრეობა, რომელიც ცენტრალიზაციისა და დესპოტიზმისგან გამომდინარეობს; ხალხს შეუძლია, მაშასადამე, შეამციროს ომთა რიცხვი, თუ აჯანყდება მათ წინააღმდეგ, ვინც აცხადებს და ახდენს ომს;

ამ აჯანყების ნება განსაკუთრებით მუშათა კლასს აქვს, რადგან თითქმის მარტო ის იხდის სამხედრო ბეგარას და მხო-

ანი **თავის დღეში თავისუფალი ვერ გახდება.** რობინზონიც არ იყო თავისუფალი თავის კუნძულზედ მას შემდეგ რაც იმან დაიწყო თავისი ნავის ღრუტვნა, ბოსტნის გაშენება, საზამთრო საგძლის შეგროვება; ის უკვე შეპყრობილი იყო თავისი შრომით. როდესათ ის ზარმაცად ადგებოდა ხოლმე ზეზე და უნდოდა რამოდენიმე ხანს დარჩენილიყო თავის გამოქვაბულში, ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ მაინც დაუბრუნდებოდა ხოლმე თავის სამუშაოს. მას შემდეგ კი როდესაც მან გაიჩინა ამხანაგათ ძაღლი და რამოდენიმე თიკანი, და განსაკუთრებით პარასკევას ნახვის შემდეგ, ის უკვე **სრული თავისუფალი აღარ იყო,** იმ აზრით რა აზრითაც ამას ხმარობენ გაცხარებული კამათის დროს და საჯარო კრებებზედ.

მას უკვე აღუჩნდა **ვალდებულებანი**, ის უკვე იძულებული იყო ეზრუნა **სხვების ინტერესებისათვის**, ის უკვე აღარ იყო იმ „სრულ ინდივიდუალისტად,“ რომელსაც ჩვენ გვიხატავენ ხოლმე როგორც განსაცვიფრებელ პარადოქსს, ანარხიაზედ კამათის დროს. იმ წუთის შემდეგ როდესაც რობინზონს ცოლშვილი შეემატებოდა,—„სულ ერთია ვისაც უნდა აღეზარდა ბავშვები, თვით რობინზონს თუ საზოგადოებას,“—მას აღუჩნდებოდა კიდევ სხვა ვალდებულებანი; მაგრამ მას შემდეგაც კი, როდესაც რობინზონს გაუჩნდა ერთი შინაური ცხოველიც კი და პატარა ბოსტანი, რომელთა მოვლაც აუცილებელი იყო ყოველ დღეს დანიშნულ დროზედ,—ის უკვე აღარ იყო „ეგოისტი,“ „ინდივიდუალისტი,“ და სხვა,—რაც თავისუფალი კაცის ტიპად მიაჩნიათ ხოლმე. არც რობინზონის კუნძულზედ, არც მით უმეტეს საზოგადოებაში, **როგორადაც არ უნდა იყოს მოწყობილი ეს საზოგადოება, ამგვარი თავისუფალი მოხეტიალე არ არსებობს.**

ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა და ყოველთვის დააინტერესებს რამოდენიმედ მაინც სხვა ადამიანი,—და ამ ინტერესებისათვის იგი იზრუნებს მით უფრო, რამდენადაც მათი განწყობილებანი უფრო გართულდებიან და მჭიდრონი გახდებიან,—აგრეთვე იმდენად, რამდენადაც ეს სხვა [illegible] უფრო მკაფიოდ გამოჰხატავენ თვის გრძნობათა და სურვილთა, ძლიერად გამოჰხატავენ მასთანვე მათი დაკმაყოფილების სურვილს. ამიტომაც ჩვენ მხოლოდ ერთნაირად უნდა გავსაზღვროთ თავისუფლება.

**თავისუფლება არის შესაძლებლობა იმგვარი მოქმედებისა, რომ საზოგადოებრივი სასჯელის შიშმა არ გაგვიელვოს თავში** (სხეულის სასჯელისა, შიმშილით სიკვდილისა, განკიცხვისა, თუ ეს განკიცხვა არ არის მომართული მეგობრისაგან და სხვ).

IV

ამ გვარად მესმის მე თავისუფლება—და ვექვობ რომ შეიძლებოდეს სხვანაირი უფრო ფართო და კონკრეტული (ნივთიერი) განსაზღვრა თავისუფლებისა. მართალია ჩვენ უნდა აღვიაროთ რომ კომუნიზმს შეუძლიან შეამციროს პირადი თავისუფლება, ან სრულიად მოჰკლას იგი (ბევრგან ეს ასედაც მოხდა). მაგრამ ცხადია ისიც, რომ კომუნიზმს შეუძლიან ეგრეთვე გააფართოვოს ეს თავის უფლება სრულიად, და მხოლოთ ამ პირობით—პირადი თავისუფლების გაფართოვებით—მას შეუძლიან დამყარდეს კაცთა საზოგადოებაში. ყოველისფერი იქნება დამოკიდებული **იმისგან, თუ როგორი ძირითადი შეხედულებით შეუდგებიან კომუნიზმის განხორციელებას. თვით კომუნისტიური ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა სრულიადაც აუცილებლად არ ჰხდის პირადობის თავისუფლებას. დიდი თუ პატარა ასპარეზი კი პირადი თავისუფლებისა საზოგადოებაში,—თუ ეს უკანასკნელი წინ და წინვე არ არის აგებული უფროს-უნცროსობის და მორჩილების პრინციპზედ—განისაზღვრება იმ შეხედულობით პირადი თავისუფლების აუცილებლობაზედ, რომელიც ადამიანს შეაქვს ამა თუ იმ საზგადოებრივ დაწესებულებაში.**

ლოდ მას შეუძლია მისი ასრულება. ამისათვის კიდეც არსებობს ნამდვილი, კანონისებური და ეხლავე სისრულეში მოსაყვანი სახსარი:

საზოგადოების არსებობა შეუძლებელია, თუ წარმოება შეჩერდა, ცოტად თუ ბევრად დიდი ხნით; პირადი ძალმომრეობის და დესპოტიზმის ფრთების შესაკვეცად საკმარისი იქნება, რომ მშრომელმა ხალხმა შესწყვიტოს მუშაობა. ემყარება რა ყველა ამ მოსაზრებებზე, ინტერნაციონალი აცხადებს ენერგიულ პროტესტს ომის წინაალმდეგ მიმართავს ყველა თავის სექციებს, აგრეთვე მიმართავს განურჩევლად ყველა მუშებს, ყველ მუშათა კავშირებს, რომ მათ ყოველი ძალღონე იხმარონ ხალხთა შორის ომიანობის მოსასპობად—ყოველი ომი განხილულ უნდა იქნას, როგორც მოქალაქობრივი, მოძმეთა და ამხანაგთა შორის ბრძოლა. კონგრესი განსაკუთრებით ურჩევს მუშებს წარმოების შეჩერებას თუ მათი ქვეყანა ომიანობისათვის ემზადება. კონგრესს იმედი აქვს სოლიდარული გრძნობსა, რომელიც არსებობს სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა შორის, იმედი აქვს, რომ მუშები თავიანთ დახმარებას არ დაიშურებენ. „გაფიცვა ხალხთა ომის წინაალმდეგ!“ ეს რეზოლიუცია თუ ზოგ წვრილმანებს არ მივაქცევთ ყურადღებას, საკმაოფილოა ჩვენი დროისათვისაც. მასშიდ ნათლად არის აღნიშნული საჭიროება ომიანობის წინაალმდეგ არა მარცო თეორეტიულად, არა მარტო სიტყვით, არამედ **საქმითაც**. სოციალ-დემოკრატია კი დღესაც ვერ მიმხვდარა მილიტარიზმის წინაალმდეგ სიტყვისა და საქმის შეერთების საჭიროებას. დღეს მილიტარიზმის წინაალმდეგ **საქმით** ბრძოლის საჭიროებას მხოლოდ ანარქისტები იცავენ საერთაშორისო კონგრესებზე. მაგალითად ციურიხში, საერთო გაფიცვის საჭიროებას ომის დროს. მხოლოდ ანარქისტები ექომაგებოდნენ,—გერმანიის სოციალდემოკრატიის წარმომადგენელნი კი ებრძოდნენ, მას ერთი სიტყვით, ამ რეზოლიუციის ერთგულნი დარჩნენ მხოლოდ ანარქისტნი, სოციალ-დემოკრატიამ-კი დიდი ხანია უღალატა მას.

II. მეორე მორიგი კითხვის შესახებ კონგრესმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: 1 კონგრესი ჰფიქრობს რომ გაფიცვები არ წარმოადგენენ სახსარს მუშათა სრული განთავისუფლებისა, მაგრამ შრომისა და კაპიტალის დღევანდელ მდგომარეობაში ისინი ყოვლად საჭირონი არიან.

2. გაფიცვები უნდა ემორჩილებოდნენ დადგენილ დებულებათ და აგრეთვე ორგანიზაციის პირობებს, თანდათანობას და კანონისებურებას.

3. იქ, სადაც მუშები არ არიან შეერთებულნი თავდასაცავ კავშირებში, სადაც არ არსებობს საურთიერთო კასსები მუშაობის შეწყვეტის დროს დახმარების აღმოსაჩენად, საჭიროა აგრეთვე სხვა და სხვა კავშირთა შორის სოლიდარობის გაძლიერება და კიდევ საჭიროა, რომ ამ გვარად შეერთებულ საზოგადოებასაც ჰქონდეს კასსა გაფიცვების დასახმარებლად.

4. ერთი სიტყვით, ყველაის სახსარი უნდა იქნას ხმარებული, რომელსაც შეუძლია საზოგადოების საქმის განგრძობა და გაღვიძება პროლეტარიატში სურვილისა, რომ ის მთელი თავის მასსით მიეკედლოს ინტერნაციონალს.

ნათქვამი შეეხება საზოგადოებრივ და საზოგადო ცხოვრების ყველა ფორმებს.

როდესაც ორი კაცი ესახლება ერთათ, მათი საერთო ცხოვრება გამოიწვევს ან ერთისაგან მეორეს დამორჩილებას ან და მათ შორის თავისუფლების და თანასწორობის განწყობილებას. ასევე იქმნება თუ ჩვენ ერთათ დავიწყეთ ბოსტნის გაშენება ან გაზეთის გამოცემა; იგივეა ყოველ ნაირ სხვა კავშირში, საზოგადოებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ფეროვან ფორმაში. ამგვარად X, XI და XII საუკუნოებში, იმ დროის ქალაქებში სდგებოდნენ ხოლმე თავისუფალ და თანასწორ ადამიანთა თემები; მაგრამ იმავე თემებში, ოთხასის წლის შემდეგ, ხალხი, ეკლესიისა და რომის უფლების გავლენით, ითხოვდა რომელიმე ბერის დიკტატურას. სამოქალაქო სამსაჯულოს დაწესებულებანი, ამქრობა და სხვა იგივენი დარჩენ; მაგრამ იმავე დროს ქალაქებში განვითარდნენ რომის უფლების ცნებანი, ცნებანი ეკლესიისა და სახელმწიფო უფლებისა, მაშინ როდესაც სამედიატორო სამართალის, თავისუფალი ხელშეკრულობისა და პირადი ინიციატივის ცნებანი დაჩლუნგდნენ და განქრენ. აქედგან დაიბადა მონური მორჩილება XVII საუ. და მე XVIII-ს დასაწყისისა ცენტრალურ ევროპაში.

***

თუ კარგად დავაკვირდებით, ეჭვს გარეშე შეიქმნება ჩვენთვის, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და დაწესებულებათა ყველა აქამდის ნაცად ფორმათაგან, ისევ კომუნიზმი უფრო უზრუნველ-ჰყოფს პიროვნების თავისუფლებას, — თუ ძირითადი იდეა თემისა იქმნება თავისუფლება, ანარხია. კომუნიზმს შეუძლია მიიღოს ყველა ფორმა, დაწყებული პიროვნების სრული თავისუფლებიდან და ყველას დამონებამდის, — მაშინ როდესაც სხვა საზოგადოებრივი ფორმები ვერ გამიხატებიან განურჩევლად ამა თუ იმ ფორმით: ის საზოგადოებრივი ფორმები, მაგალითად, რომელთაც არა სწამთ სამოქალაქო და ქონებრივი თანასწორობა, უსათუოდ იწვევენ ადამიანთა ერთი ჯგუფის მეორის მიერ დამონებას. კომუნიზმი კი შეიძლება იყოს მონასტრული, სადაც ყველა ბერები ემორჩილებიან უსათუოდ იგუმენს, მაგრამ კომუნიზმი შეიძლება იყოს, როგორც სრულიად თავისუფალი ამხანაგობა, სადაც თითოეულ წევრს აქვს სრული პირადი დამოუკიდებლობა, და თვით ამხანაგობაც არ სებობს იქამდის, სანამ მის წევრთა სურსთ, ამასთანავე, — რამდენადაც ისინი არა სცდილობენ დაიმორჩილონ ერთმანეთი და პირიქით მიისწრაფიან დაიცვან თავისუფლება თვითოეულისა და გააფართოვონ იგი ყოვლის მხრით.

კომუნიზმი შეიძლება იყოს, რასაკვირველია, მორჩილებაზედ დამყარებული, ძალ დატანებით, — და ამ შემთხვევაში, როგორც დაგვანახვა გამოცდილებამ, თემი მალე იღუპება, ან და კომუნიზმი შეიძლება რომ იყოს ანარხიული, — მაშინ როდესაც, მაგალითად, სახელმწიფო, ბატონ-ყმური იქმნება იგი თუ კოლექტიური, **უსათუოდ უნდა** იყოს ძალ დატანებითი. უამისოდ იგი სახელმწიფო არ იქმნება!

***

კომუნიზმი რომ ყველა სხვა საზოგადოებრივ ფორმებზედ უკეთ უზრუნველ ჰყოფს **ეკონომიურ** თავისუფლებას — ეს იქიდანა სჩანს, რომ მას შეუძლია საზოგადოების ყოველ წევრს მიანიჭოს კეთილ დღეობა, და საფუფუნო მოთხოვნილებანიც კი დაუკმაყოფილოს, და ყოველივე ეს ნაცვლად დღეში 4—5 საათის შრომისა, 10, 9 ან და 8 საათის მუშაობის მაგივრად. ყოველ ადამიანს რომ ათი, თერთმეტი საათი თავისუფალი დრო მიანიჭო იმ 16 საათიდან, რომელიც წარმოადგენს ჩვენ დღიურ შეგნებულ ცხოვრებას (რვა საათი საჭიროა ძილისათვის), ეს პიროვნულ თავისუფლების იმგვარ გაფართოვებას ნიშნავს, რომ კაცობრიობისათვის იგი იდეალია, რომელსაც იგი ელტვის აი უკვე რამდენიმე ათასი წელიწადია. ეხლა კი ჩვენ გვაქვს აუარებელი და უძლიერესი საწარმოვო ძალები, და

---

5. რათა დაცულ იქნას თანდათანობა და კანონისებურება, შეერთებულმა კავშირმა უნდა დანიშნოს კომისია, რომელიც შესდგება კავშირების დელეგატებისაგან. ამ კომისიამ უნდა იმოქმედოს, როგორც სამედიატორო მსაჯულებამ და გადაწყვიტოს ეს თანდათანობისა და კანონისებურების კითხვები. ამას გარდა საჭიროა რომ სექციებს თავისუფლება ჰქონდეთ, რათა მოიქცენ თავიანთ ზნე-ჩვეულების და კანონმდებლობის თანახმად ამ სამედიატორო მსაჯულების შედგენის დროს.

III. გავლენა მაშინებისა მუშათა მდგომარეობაზე და სამუშაო ქირაზე. რადგან, ერთი მხრით, მაშინა წარმოადგენს ერთ უძლიერეს იარაღს დესპოტიზმისა და ექსპლოატაციისა კაპიტალისტების ხელში და, რადგან, მეორე მხრით, დამყარება წარმოებისა მაშინებზე არის პირველი პირობა ნამდვილ სოციალურ წარმოების სისტემისა, რომელმაც უნდა დაიჭიროს ადგილი დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ სისტემისა; რადგანაც მაშინა მხოლოდ მაშინ გაუწევს მუშებს ნამდვილ სამსახურს, როცა ის მუშათა ხელში გადავა;

კონგრესი აცხადებს: 1. წარმოება გახდება მაშინების მესაკუთრედ მხოლოდ კოოპერატიულ საზოგადოებათა და საურთიერთო კრედიტის ორგანიზაციის საშუალებით;

2. რომ ეხლანდელ პირობებში მუშათა კავშირებმა უნდა ეცადნონ, რომ ახალი მაშინები მხოლოდ იმ პირობით იქნან შემოღებულნი, თუ მუშებს ექნებათ რაიმე გარანტია და თუ მათ ზარალს უზღავენ.

IV იმავე სხდომაზე რომელზედაც მიღებული იქნა ეს რეზოლიუცია მაშინიზმის შესახებ, განხილულ იქნა კითხვა საერთო განათლების შესახებ. ბელგიელმა დელეგატმა გინმა წაიკითხა ამ საკითხის შესახებ მოხსენება და როგორც დასკვნა მოითხოვა **ინტეგრალური აღზრდა-განათლება**. გინსის დასკვნა ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ მიღებულ იქნა კონგრესისაგან.

V. მეხუთე კითხვა საურთიერთო კრედიტის კითხვა იყო. პრუდონისტებს ეს საურთიერთო კრედიტი ძალიან უყვარდათ და თითქმის ყოველ წელს აღძრავდნენ ხოლმე მის შესახებ სჯა-ბაასს. ინტერნაციონალი კი, რაც უფრო წინ მიდიოდა, რაც უფრო და უფრო გარკვეულად ემყარებოდა სოციალისტურ პრინციპებზე, მით უფრო ნათლად ხედავდა, რომ სრულიად შეუსაბამო იყო საურთიერთო კრედიტისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობის მიცემა, როგორც ეს პრუდონისტებსა სურდათ. მაგრამ ბრიუსელის კონგრესზე ამ კითხვის შესახებ უმრავლესობა კიდევ პრუდონისტების მომხრე აღმოჩნდა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1 რადგან კაპიტალის მიერ მოხვეჭილი მოგება და პროცენტები, როგორიც უნდა იყვნენ ისინი, წარმოადგენენ ღირებულებას, რომელიც გამორჩენილ იქმნა დღევანდელი შრომისაგან იმათ სასარგებლოთ, ვინც გამდიდრებულია გუშინდელი შრომით, და რადგან თუ საზოგადოთ ამ ღირებულების გამსხვილება სამართლიანია, ყოველ შემთხვევაში მისი სხვისი შრომით გადიდება სამართლოა;

2. რადგან ამის გამო პროცენტის აღება ხდება წყაროდ

**შეგვიძლია** მოვაწყოთ საზოგადოება ამგვარად. კომუნისტიურ საზოგადოებაში ადამიანს ადვილად ექმნება ყოველ დღე სრული ათი საათი თავისუფალი დრო, და იმავე დროს იგი დაკმაყოფილებული იქმნება სრულიად ნივთიერად. ამგვარი თავისუფალი დრო კი წარმოადგენს განთავისუფლებას ერთ იმ უუსაშინელეს მონობისაგან, რომელნიც არსებობენ თანამედროვე ბურჟუზიულ საზოგადოებაში. თავისუფალი დრო თავის თავად უკვე წამოადგენს პირადი თავისუფლების დიდ გაფართოვებას. შემდეგ,—ადამიანთა თანასწორობის აღიარება და ადამიანის ადამიანისაგან მართვის უარ-ყოფა,—აგრეთვე პირადი თავისუფლების გაფართოებას წარმოადგენს; ამასთანავე ჩვენ არ ვიცით არც ერთი საზოგადოებრივი ფორმა, სადაც შეიძლებოდეს პირადი თავისუფლების იმ ზომამდი განვითარება, როგორც ეს შესაძლებელია კომუნისტიურ საზოგადოებაში. მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი ნაბიჯი უკვე წარდგმული იქმნება,—ე. ი. როდესაც საზოგადოების ყოველი წევრისათვის უზრუნველ-ყოფილი იქმნება ცხოვრება, როდესაც აღარავინ აღარ იქმნება იძულებული მიჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა და თავისი გონება იმ მდიდარ პატრონს, რომელიც კეთილ ინებებს და ისარგებლებს ამ ძალებით თავისი პირადი გამდიდრებისათვის.

ბოლოს,—აღიარება იმისი, როგორც ამას შვებიან კომუნისტები, რომ პირველი საფუძველი საზოგადოების ყოველივე წინ მსვლელობისა და პროგრესისა არის **საქმეთა მრავალფეროვანება,**—ესეც ძლიერი გაფართოვებაა პირადი თავისუფლებისა. თუ ყოველი წევრი საზოგადოებისა იმ საქმეს მოჰკიდებს ხელს თავისუფალ დროს, რომელიც მას უფრო ეინტერესება,—მეცნიერებაში, ხელოვნებაში, შემოქმედებაში, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზედ და გამოგონებაში; თუ თვით საქმის დროსაც მას შეუძლია იმუშაოს წარმოების ყოველ ნაირ დარგებში, და თვით აღზრდაც ამ მიზნის თანახმად არის მოწყობილი,—კომმუნისტიურ საზოგადოებაში, ეს შესაძლებელია,—ამითი კიდევ უფრო დიდი თა[illegible]მყარდება, რადგანაც თვითოეულ ჩვენგანს შეეძლება [illegible] გააფართოვოს ყოველგვარი თავისი ნიჭი ყოველ მხრივ, და ის დარგები,—როგორც მეცნიერება, ხელოვნება, შემოქმედება, გამოგონება და სხვ., რომელნიც წინად ხელ-მისაწდომი არ იყო ყველასათვის, მაშინ ყველასათვის გახდება ხელმისაწდომი.

რა ზომამდე განხორციელდება პირადი თავისუფლება თვითოეულ თემში, ან თემთა თვითოეულ კავშირში, ეს დამოკიდებული იქმნება იმ ძირითად შეხედულებიდან, რომელიც გაიმარჯვებს თემის დაარსების დროს. ასე, მაგალითად, ჩვენ ვიცით დიდი სარწმუნოებრივი თემი, სადაც ადამიანს ეკრძალებოდა გამოეხატა თავისი სულის კვეთება და გუნებაც კი. თუ ვინმე თავს უბედურად გრძნობდა და სახეზედ ეტყობოდა სევდა, მასთან მაშინვე მივიდოდა ერთი „ძმათაგანი“ და ეტყოდა: „შენ ცუდ-გუნებაზედ ხარ, ძმაო, არა? მაგრამ მაინც აჩვენე სხვებს, ვითომც კარგ გუნებაზედა ხარ: იმიტომ რომ დანარჩენ დებზედა და ძმებზედ იმოქმედებ ცუდად“. ჩვენ ვიცით აგრეთვე კიდევ ერთი ინგლისელების თემი, რომელიც შესდგება შვიდი კაცისაგან, რომელშიდაც ერთი წევრი (კოჩკარიოვები სოციალისტებშიდაც არიან) თხოულობდა თავმჯდომარის დანიშნვას (გაკიცხვის უფლებით) და აგრეთვე ოთხი კომიტეტისას: კომიტეტი მებაღეობისა, საგზლის შოვნისა, შინაური საქმისა და გატანისა, ეგრეთვე თვითოეული კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონოდა სრული უფლებანი თავმჯდომარისა. რასაკვირველია არის თემები, რომლებიც დაარსებულ იყვნენ, და შემდეგ გავსებული „უფლების ფანატიკოსთა“ მიერ (ერთგვარი ტიპი დანაშაულთა, რომელიც ძლიერ დააინტერესებს დოკტორ ლომბროზოს); იყო აგრეთვე მრავალი თემი, რომელიც დააარსეს „საზოგადოების მიერ პიროვნების ჩაყლაპვის“ ფანატიკოსებმა. მაგრამ ამგვარი ფანატიკოსები კომუნიზმს არ წარ-

---

მუდმივ უსამართლოებისა და უთანასწორობისა, რადგან იმ მწარმოებელ საზოგადოებას, რომელიც ამ პრინციპზე ემყარება გადააქვს კერძო პირისაგან კოლექციაზე პრინციპი ეგოიზმისა—ეს ჭირი თანამედროვე საზოგადოებისა;

3. რადგან მუშათა მიერ ფართოდ განხორციელებული სოლიდარობის პრინციპი ერთად ერთი სახსარია, რომლის საშუალებით მათ შეუძლიათ გაიმარჯვონ ფინანსიურ ფეოდალიზმზე,

კონგრესი იმ აზრისაა, რომ დაარსდეს გამცვლელი ბანკები, რომელნიც ხელს შეუწყობენ საქონლის იმ ფასად შეძენას, რა ფასადაც დამჯდარია საქონელი,—უმოგებოთ. მათ მიზნად ექნებათ გათანასწორება და დემოკრატიზაცია კრედიტისა, გაადვილება ურთიერთობისა მწარმოებელსა და მხმარებელთა შორის. მაშასადამე, ამ ბანკებს მიზნად ექნებათ შრომის განთავისუფლება კაპიტალის ბატონობისაგან და კაპიტალისთვის მის კანონიერ და ბუნებრივ როლის მითვისება, ე. ი. გარდაქმნა კაპიტალისა შრომის აგენტად.

მაგრამ რადგან ისეთი რთული პრაქტიკულ ხასიათის კითხვის, როგორც გამცვლელი ბანკია, ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია, კონგრესი ადგენს: რომ თეორიულად ის საურთიერთო კრედიტის მომხრედ დარჩეს, ისე-კი გაეგზავნოს ყველა სექციებს ბრიუსელის სექციის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რათა ის ყოველ მხრივ განხილულ და შესწავლულ იქნას მომავალი კონგრესისათვის.

ამ რეზოლიუციის თვალის გადავლება საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ რომ მის ავტორებს სრულიად არ ჰქონდათ შეგნებული არც საზოგადო სოციალისტური პრინციპები, არც მნიშვნელობა იმ რეზოლიუციათა, რომელნიც წინა კონგრესებზე იქნენ მიღებულნი. ამ რეზოლიუციის მიღება, მართლა და წვრილ ბურჟუაზიის მორევში ჩაფვლა იქნებოდა, რომ მის მნიშვნელობას სრულიად არ აქარწყლებდეს მიწის და სხვა იარაღთა განსაზოგადოების შესახებ მიღებული რეზოლიუცია.

**VI** მიწის საკუთრება (სახნავი მიწა, ტყეები, არხები, რკინის გზები და სხვა).

ეს კითხვა, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული, აღძრულ იქნა ლოზანის კონგრესზე, მაგრამ მაშინ კონგრესმა შესაძლოთ ვერ სცნო მისი გადაწყვეტა. მან მხოლოდ მიანდო მომავალ კონგრეს ამ კითხვის შემუშავება. მოხსენების შედგენა მიენდო ბელგიის დელეგატს დე-პეპს, რომელმაც ლოზანის კონგრესზე დიდი ძალა და გამჭრიახობა გამოიჩინა ამ კითხვისაგან გამოწვეულ კამათში. ბრიუსელში მანვე წაიკითხა ვრცელი მოხსენება და დაასრულა იგი ვრცელი რეზოლიუციის წარდგენით, რომელიც მიღებულ იქნა კონგრესისაგან (30 ხმა რეზოლიუციის მომხრე აღმოჩნდა, 4 წინააღმდეგი, ხოლო 15 კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო). აი ეს რეზოლიუცია:

მადნებისა, ქვანახშირებისა და რკინის გზების შესახებ.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ უდიდესი დახმარებითი სახსარი წარმოებისა არის მიწაში და იჭერს მიწის უმეტეს ნაწილს, იმ მიწაში, რომელსაც კაცობრიობა უფასოთ იღებს ბუნებისაგან; სახსარი ესა თხოულობს მაშინების ხმარებას და შეერთებულ ძალათა უმაღლეს მოქმედებით მდგომარეობაში

მოუშობია. იგინი წარმოშობა საეკლესიო ქრისტიანობამ (ღრმა მორჩილებითი რწმენა თავისი პრინციპით) და რომის უფლებამ,—ესე იგი სახელმწიფომ და მისმა სწავლამ. ეს სახელმწიფოებრივი შეხედულებანი,— რომ ვერავითარი საზოგადოება ვერ გასძლებს უმსაჯულოდ და უდამსჯელოდ, რომელიც შეიარაღებულია ნაჯახითა და წკეპლებით, —რასაკვირველია ყოველთვის საშიშარი იქმნებიან კომუნიზმისათვის, სანამ კაცობრიობა მათგან არ განთავისუფლდება. მაგრამ ძირითადი პრინციპი კომუნიზმისა მთავრობა კი არ არის და მორჩილება, არამედ ის უბრალო ფაქტი, რომ საზოგადოებისათვის უფრო ხელ საყრელია რომ საერთოდ ჰქონდეს მას ყველა საწარმოო საშუალებანი, ყველა საშუალებანი ცხოვრებისა, იმუშაოს საერთოდ, დაიკმაყოფილოს მოთხოვილებანი საერთოდ, და არ გამოუდგეს იმის ანგარიშს, რამდენი რამ აწარმოვა თვითოეულმა ჩვენგანმა და რამდენი რამ მოიხმარა. ამ ძირითად ცნებას მივყავართ განთავისუფლებისაკენ, თავისუფლებისაკენ და არა მონობისაკენ.

* * *

ამგვარად ჩვენ შეგვიძლია შემდეგი **დასკვნანი** გამოვიყვანოთ ნათქმიდან:

აქამდის კომმუნისტიური საზოგადოების დაარსების ცდანი უნაყოფონი იყვნენ, რადგანაც:

მათა ჰქონდათ საფუძვლად სარწმუნოებრივი აღგზნება, მაშინ როდესაც თემი უნდა იყოს მხოლოდ ეკონომიური წესი წარმოებისა და ხმარებისა;

თემები განშორდებოდენ ხოლმე მთელ საზოგადოებას, მისს ცხოვრებასა და ბრძოლას;

თემები განსჭვალული იყვნენ უნცროს-უფროსობისა და მორჩილების სულით;

ისინი განცალკევებული იყვნენ იმის მაგივრად, რომ კავშირებად შეერთებულიყვნენ; თემები ძლიერ პატარაები იყვნენ;

ისინი თავიანთ წევრთაგან თხოულობდნენ შრომას ისეთ დიდ რაოდენობას, რომ მათ აღარ რჩებოდათ [illegible] თავისუფალი დრო, აგრეთვე თემები მიისწრაფოდენ სრულიად ჩაეყლაპათ წევრები;

თემები სდგებოდენ ხოლმე მსგავსად პატრიარხალური უნცროს-უფროსობის პრიციპზედ დამყარებულ ოჯახთა, მაშინ როდესაც მათი უმავრესი მიზანი უნდა ყოფილიყო რაც შეიძლება ფართო განთავისუფლება პიროვნებისა.

კომუნიზმი,—ეკონომიური დაწესებულებაა; და როგორც ამგვარი, იგი წინასწარ სრულიადაც არა საზღვრავს, თუ როგორი თავისუფლება მიენიჭება საზოგადოებაში პიროვნებას, მისს ინიციატივას, და აგრეთვე იმ წინაალმდეგობას, რომელსაც დამკვიდრებულ ჩვეულებათა მისწრაფება შეხვდება ცალკე პირებში,—მისწრაფება, რომელიც სცდილობს ეს ერთხელვე დამკვიდრებული ჩვეულებანი საუკუნოებით დაიცვას, განსაზღვროს და გააქვავოს. კომუნიზმი **შეიძლება** რომ მორჩილებითი იყოს, და ამ შემთხვევაში თემი უსათუოდ იღუპება; იგი **შეიძლება** იყოს თავისუფალი, ანარხიული, და ამ შემთხვევაში კი იგი წყაროა,—როგორც ეს მოხდა არა სრულ კომუნიზმის დროსაც კი მე XII საუკუნის ქალაქებში, —იგი წყაროა ახალი ცივილიზაციისა, ახალი ცხოვრებისა, რომელმაც მაშინ ევროპა განაახლა. კომუნიზმის ორ ფორმათაგან,—თავისუფალისა და მორჩილებითისა,—მხოლოდ იმ ფორმას ექმნება შთანაჩენი პროგრესისა და ცხოვრებისა, რომელიც ყოველისფერს ეცდება ადამიანის პირადი თავისუფლების განვითარებისათვის და მისი ყოველ-მხრივი გაფართოვებისათვის.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პირადი თავისუფლება ადამიანისა,--რომელიც გაფართოვებული იქმნება თავისუფალი დროით, მითი, რომ იგი კეთილდღეობაში იქმნება თავისუფალი შრომითა და სამუშაო დროის სრული შენოკლებით,—ეს პირადი თავისუფლება ადამიანისა სრულიად არ შთაინთქება, ისე როგორც მას არაფერი დაუშავდება, მაგალითად ეხლა, ქალაქის გაზის ან წყლის გაყვანით, ან თანამედროვე სასტუმროთი, ან იმითი კიდევ, რომ ჩვენ ეხლაც, მუშაობის დროს, საერთოდ ვეწევით ცხოვრებას ათას სხვა ადამიანებთან.

ანარხია როგორც მიზანი და საშვალება შესაძლებელჰყოფს კომუნიზმს; თუ კი არ არის არც ეს მიზანი და არც ეს საშუალება, მაშინ კომუნიზმი უნდა გახდეს პიროვნების დამჩაგვრელი,—და მაშასადამე შეიქმნეს შეუძლებელ, დაიღუპოს.

---

მოყვანას; ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მაშინა და შეერთებული ინდივიდთა ძალებიც ეხლა მხოლოდ კაპიტალის სამსახურში არიან, მაგრამ მომავალში მუშას უნდა ემსახურონ და რადგან ყოველი მრეწველობა, რომელიც თხოულობს ამ ორ ეკონომიურ ძალას, ხმარებულ უნდა იქნას მუშათა ჯგუფების მიერ, რომელნიც თავისივე სასარგებლოდ იმოქმედებენ,—კონგრესი ადგენს:

1. რომ ქვა ნახშირის და სხვა მადნები და მაღაროები, რკინის გზები გადავიდნენ სწორედ მოწყობილ საზოგადოების, ე. ი. სამართლიანობის პრინციპიდან დამოკიდებულ სახელმწიფოს ხელში;

2. რომ ქვა ნახშირისა და სხვა მადნები, რკინის გზები სახელმწიფოს მიერ გადაეცეს არა კაპიტალისტთა ამხანაგობებს, როგორც ეს ეხლა ხდება, არამედ მუშათა ამხანაგოებებს შემდეგ ორ გვარ ხელშეკრულებით: სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს უფლება კონცესიის მეცნიერულ და რაციონალურ ექსპლოატაციისა, აგრეთვე მას უნდა ჰქონდეს უფლება კონტროლისა ისე, რომ შეუძლებელ გახდეს მომავალში რაიმე ახალი პრივილეგიის აღმოცენება. მეორე მხრით ცხადად უნდა იქმნას დამყარებული საურთიერთო უფლება საზოგადოებასა და პაისჩიკებთა შორის.

ქ. ო.

---

## საქმეების გარჩევა გურიაში

წინ წამოდგა დაბარებული ქმარი. პატარა ტანის ჭაღარა კაცი რაღაც საცოდავი და გაბოროტებული გამომეტყველი სახის პატრონი. მან წყრომით გაიხედა ცოლისაკენ და სირცხვილეული სწევდა ძირს თავისს დაძველებულ ჩისუნჩის პიჯაკის კალთებს იქით-აქედან და ისწორებდა რგვალ ჩალის ქუდს.

— მე არ ვიცოდი, დაიწყო მან, ჩემი ცოლი თუ საჩივლელად წამოვიდა...

— თვარა არ გამუუშობდი?..—მოისმა იქით-აქედან ირონიული შეკითხვა.

— არა, რეიზა არ გამუუშობდი, მარა რასაც ჩივა ჩემი ცოლი, ყველაი ცრუობაა...

— კაცო, რა იცი, ჯერ რას ჩივა, ჯერ მეისმინე, ძმავ...

ქმარი ჩაჩუმდა, არავის გულში არ აღვიძებდა სიმპატიას,

მაგრამ როცა თავმჯდომარემ განუმარტა რაში იყო საქმე და შემდეგ მის შეკითხვაზე, თუ რას აპირობს და როგორ ფიქრობს ბავშვების შესახებ, მან ჩაღუნა თავი და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ როგორღაც ყრუდ წარმოსთქვა:

— მეც მიჭირს ბალღების მოცილება, რავარც მაგას უჭირს, ისე მეც მიჭირს. რა ვქნა? მან მიმოიხედა და ისევ დახარა ქაღარა ულამაზთო თავი ძირს.

ხალხი, თითქოს ერთ წამს რაღაცამ შესცვალა, ყველამ სიბრალულით მიაპყრო თვალი ამ საბრალო კაცს.

— კი, მარა, კაცო, შენ რომ ასე ჭირვეული ყოფილხარ, რომ შენ ცოლს არ შეუძლია შენთან ცხოვრება? — დაეკითხა მას თავმჯდომარე.

— რასაც გადამიწყვეტს საზოგადოება, ისე მევიქცევი, — მიუგო მან, მარა მეც კაცი ვარ, ადამიანი და ბალღებს ნუ მომაცილებთ. ღმერთმა იცის, მიყვარს მეც...

— არა, ბატონო, მაგას ვერ ვერწმუნები, — სთქვა ქალმა, — პირველი გადაწყვეტილების მერე, მე რომ ველარსად წევედი, რომ ვერ მოვსცილდი, კიდევ უფრო მეჩხუბება. ხომ ვეფერი გააწყვე, ჩემს იქით გზაი არ გაქო, მიჩივა...

— არა, გაითიშოს უნდა და ბალღები მიეცეს ქალს! — მოისმა ხმები.

სიტყვა ითხოვა კრებიდან ქალმა.

— ცოლ-ქმრობა, დაიწყო მან, — ერთობ სერიოზული საქმეა, ამათი ერთად ცხოვრება, როგორც აქ კამათიდან გამოირკვა, ძნელი და აუტანელია. დიდი ცოდვა და შეცდომა იყო მაგათი დაქორწილება, რომლის მიზეზი ამ ქალის მშობლები და თითონ ეს კაცი ყოფილა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ეხლა გვიანღაა, ამ მაგალითს შეუძლია მხოლოდ მშობლებზე იქონიოს გავლენა და შეაგნებიოს, თუ რა დიდ პასუხის გებაში ვარდება ძალად შვილის გათხოვებით. ახლა კი ამ ცოლქმარის ყურადღება უნდა მიექცეს ამათ შვილებს, რომლების მოშორება ასე უმძიმთ ორივეს; საზოგადოების მოვალეობაა, შეაგნებიოს ცოლქმარს თავიანთი მოვალეობა ბავშვების წინაშე, დედ-მამამ უნდა დაივიწყოს თავიანთი პირადი ანგარიშები და ბევრი რამ უნდა მოითმინოს და აპატიოს ერთმანეთს. აი როგორ უნდა შეხედონ მაგათ ცხოვრებას და ყოველი ღონისძიება იხმარონ, არ გაუფუჭონ ცხოვრება იმ ოთხ ბავშს, რომლებსაც თითონ მაგათ მიანიჭეს სიცოცხლე.

— გაცოცხლა ღმერთმა...

— ნამეტარი ღვთიური და პატიოსანი სიტყვაა.

— ნამდვილს ჩივა, დედ-მამა შვილებიზა უნდა ცოცხლობდეს - მოისმა იქით-აქედან ხმები.

სიტყვა ითხოვა ერთმა ახალგაზდა ჭაბუკმა.

— ამხანაგ ქალს ვერ შეუგნია, რა არის თავისუფლება. ჩვენ თუ თავისუფლებისაკენ მივისწრაფვით, უნდა ვიცოდეთ, რომ რაღა თავისუფლებაა ის, თუ რაღაც მოვალეობის გულიზა ავალებთ ქალს, თუ არ უნდა და უჭირს, მაინც იცხოვროს არა-სასურველ კაცთან, როდესაც...

— კაი ერთი, გაჩუმდი... არა-სასურველ კაცთან...

— კაი თუ ღმერთი გწამს, აბა მოვალეობა აღაფერი ყოფილა...

— რას ჩივი, კაცო... ჯერ პირზე დედის რძე არ გაგშრობია და რა იცი ცხოვრება.

კრება უკმაყოფილებას უცხადებდა ჭაბუკს, რომელიც მაშინვე ჩაჩუმდა.

— სიტყვა თქვენია. — მიმართა თავმჯდომარემ ერთ განაპირა მჯდომარე კაცს და დაუმატა: საკითხი გამორკვეულია და მოლაპარაკეთა სიას ვხურავ.

ცოლ-ქმრის გათიშვა ადვილი სათქმელია, მაგრამ ძნელი მოსაგვარებელია, — სთქვა კაცმა. გათიშვას ორივე[illegible] შეუძლია ცუდი შედეგი მოუტანოს მით უმეტეს, თუ ბალღებიც ჰყავთ. ამიტომ საზოგადოებამ ყოველი ღონე უნდა იღონოს და თუ მოსახერხებელია, იქონიოს გავლენა, რომ იმათ შეეგუონ ერთმანეთს. იქნება მაგათ უნდათ რაიმე პირობა დაუდვან ერთმანეთს, ან იქნება სთქვან, რა მიაჩნიათ თითონ უკეთეს საშვალებათ. მაგათი აურზაური სულ ქმრის იჭვიანობაზე ყოფილა აგებული და იქნება ქმარს ან ცოლს სურს არ დადიოდნენ მათსა ზოგიერთი პირები. დაასახელონ იგინი და ვსთხოვოთ იმ პირებს ნუ ივლიან და ნუ დაარღვევენ ოჯახის მყუდროებას. ამას გარდა ამოირჩიონ ვისაც ენდობიან, ან კრებამ დაუნიშნოს რამდენიმე კაცი, რომ თვალ-ყური ადევნონ მაგათ ცხოვრებას.

— ძალიან კაია...

— სწორედ ჩივა მე და ჩემმა ღმერთმა.

— რას იტყვით თქვენ ამაზე? — დაეკითხა თავმჯდომარე ცოლ-ქმარს. ცოტა ყოყმანის შემდეგ ისინი დახთანხმდნენ ამგადაწყვეტილებაზე. ქალმა არაფერი პირობა არ დაუდო, გარდა იმისა, რომ წამ და უწუმ ჩხუბი არ აეტეხა ქმარს და ლანძღვა-გინებით არ მოეხსენებინა. ქმარმა კი მოითხოვა, ნუ ივლის ჩემსას ორი კაცი, ამ ქალის ნათესავები. კრებამ, ერთხმად სთხოვეს ამ ორ კაცს, რომ არ ევლოთ იმათსა. ამას გარდა თითონ ცოლ-ქმარმა აირჩია კრებასთან შეთანხმებით ორი ქალი და ორი კაცი მეთვალ-ყურედ და მათ შორის **ატეხილ უთანხმოების გამოსარკვევად.**

კრების წინ წარმოსდგა კაცი. ის იყო კარგად ჩაცმული, შავ სატინის მოვერცხლილი ქამარით მორტყმულ ახალუხზე გადაეცვა ნაცრის ფერი შალის ჩოხა, ფეხზე მაღალი ჩექმები ეცვა და ხელში ბოხოხი ეჭირა.

— ვსთხოვ კრებას — დაიწყო მან ღირსეულად, ნელის, მტკიცე ხმით, და გადაისვა თავის შავ, მოთხო. გრძელ წვერზე ხელი — ვსთხოვ კრებას, პატივცემულ ამხანაგებს, დასდვას მსჯავრი და სამართალი ჩემ საქმეს. მ. ი-იმ ავაზაკურად მომპარა ას მანათად ღირებული შვილსავით გაზრდილი ძროხა, გაagდებია თავი, და ამით ენით რომ არ გამეითქმება იმისანა ზარალი მომაყენა. ძროხა რუსეთიდან გამოწერილი მყავდა. და არ ვიცი, აი კაცი რას მემართლებოდა, კაის მეტი აფერი მიქნია მისდა, იქნება მაგან ივაროს, არ მიქნიაო, მარა ვარი არ გუუა ჩემთან. ძროხა რომ უსათუოდ მაგან მომპარა ამის დასამტკიცებლად მოწმებს მევიყვან და ერთ და ორს კი არა. მან გაიხედა და რისხვით ერთ პატარა გამხდარ, ჩაგლეჯილ-ჩოხიან კაცისაკენ, რომელიც თითქოს შერცხვენით იდგა მოკუნტული და რაღაც საბრალოდ გამოიცქირებოდა. ყველას სახეზე რაღაც უკმაყოფილება გამოიხატა; ყველა ელოდა ავაზაკს, რომელმაც ერთის შემოკვრით თავი გააგდებინა უშველებელ ძროხას და ეს კი საცოდავი, გამხდარი სიღარიბისაგან დაჩაჩანაკებული იდგა მათ წინ ჩუმად, თავ დახრილი კაცი...

— შენ გიჩივა ეს კაცი, — მიუბრუნდა მას თავმჯდომარე, — გიჩივა, რომ ძროხა მოგიპარავს და ასი მანათი გიზარალებია იმიზა. რა გაქ ამის შესახებ სათქმელი და რაით იმართლებ თავს?

— მე, ბატონო, — დაიწყო ცოტა სიჩუმის შემდეგ ქურდმა ნელის ხმით, — ვითხოვ, რომ ჯერ, სანამდის გარემოებას ვიტყოდე, ამგანაგებსა ფიცის ნება მომეცეს, რომ ერთი სიტყვა ცრუობა არ გუურიო ჩემ ლაპარაკში. მე მწამს ხატი, და ღმერთის მეტი არა კაცი არ მინდა მოწმეთ. აქა-იქ ზოგს ირონიული

ღიმილი გამოეხატა სახეზე,— მაგრამ მაშინვე დასთანხმდნენ ფიცის მიღებაზე. იმ წამსვე ეკკლესიიდან გამოიტანეს წმინდა გიორგის ხატი. პატარა კაცმა აიღო ის ხელში, აღაპყრო ზე ცასკენ თვალები და გრძნობით, ღმობიერად დაიწყო: ვფიცავ ყოვლის შემომქმედს, ცისა და ქვეყნის გამჩენელ ღმერთს, მე მოვიპარე ძროხა...

— ეე, თვითონც არ ვარობს, თვითონც,—დაიძახა სიამოვნებით ძროხის პატრონმა.

— კაცო, ამას ისეც ქე დაგიჯერებდით,—დაიძახა ვიღაცამ, და გაიცინა, მაგრამ კრება ჩუმად იყო და სერიოზულად ელოდა შემდეგს—ვფიცავ ღმერთს,—განაგრძო ქურდმა, რომ მე მოვიპარე, მოვკალი და გადავაგდე მაგის ძროხა, ერთი ნაჭერაი რომაა იმის არ მიმიტანია შინ და პირში არ ჩაგვიშვია ჩემსას არა კაცს. თავს არ ვიმართლეფ, დამნაშავე ვარ და რაც მეკადრებოდეს, იგი გადამიწყვიტეთ, მხოლოდ ვსთხოვ ამხანაგებს ბოლომდი მომისმინონ. მე ვარ ერთი ღარიბი კაცი, ჩემი ამბავი კი იცის აქანაი მეზობლებმა. ჩემ სიცოცხლეში მაღლა ცისა არ შემიხედავს, ისე თავ ჩარკუნული მიწას ჩავციცინებ და ვმუშაობ, მარა, სხვაი კი არა, მჭადიც ძვილაი მომყავს ჩემი ოთხი ბალანაის და ქალის დასაპკურებელი. ერთი ოხილაი სახლი მაქ, და ქე ვარ შით. ამ კაცის ზიარი ძროხა მყავდა. ძროხა კი არა, შვილსავით გამოზდილი იყო იგიც. ძროხაც და ჩვენც ყოველ ზამთარში ერთ სახლში ვცხოვრობდით, ცალკე ბოგა მე არ მაქ ისე გვიყვარდა აი ძროხა ყველას და ნამეტნავად ბალნებს; ეგება ვინმემ არ დამიჯეროს, მარა, ჩვენ რომ სადილათ დავჯდებოდით ძროხასაც მაშინ დუუყრიდენ ბალნები ჩალას და ამ ნაირათ ძროხა და ჩვენ ერთად ვჭამდით სადილს. ქნა ამ ძროხამ ხბოი. კი მიხთებით თქვენ თუ ხბოი რა სიხარულს მეიტანდა ჩემ ოჯახში,—ის ცოტათი შეჩერდა მოიწმინდა შუბლი და უფრო ყრუ ხმით განაგრძო:—რძეი და ყველი დიდი ღვთის წყალობა იყო ჩვენდა. რადგან ძროხამ ხბოი ქნა და მეწველე იყო, თვის თვეზე უდენიდით ერთმანეთს მე და ეს კაცი. რომ წევიდოდა მოზიარესთან ძროხა და ხბოი, ბალნები ემშვიდობებოდნენ: ჰკოცნიდენ, ეფერებოდენ ორივეს და უნცროსვანები ტიროდენ, მარა სამაგიეროთ, რომ მოგვიდენიდა, იგინის სიხარულს ვეღარ გამოსთქვამს კაცი.

რაღა ბევრი გავაგრძელო ამ უკანასკნელად გუუდენე ამ კაცს აი ძროხა. გევიდა თვეი, გათენდა კვირე დილა და ვეღით ახლა ძროხას, ბალნები და ქალი აღარ არიან სიხარულით. ქალმა მუუხაზირა საწველაი, მკვეთი, მეც შინ ვარ და ვუცდით ყველაი. დარია იმისთანაი, რომ უკეთესი აღარ იქნება. უცადეთ სადილობამდი: არ გამოჩდა. ვჭამეთ სადილი; მისაღამურდა; ქალმა ვახშამი მეიკითხა, გააკეთა, ვჭამეთ: ძროხა არაა. დავწევით. მეორე დღეს ბალნებმა გათენებამდი გამეიღვიძა „ნენავ, კარმელაი მოგვიდენეს, ბაბავ, კარმელაი სადაა? ჩვენი ნიშაი დიდი მოიზდებოდა,“—მოგვაძახეს ბალნებმა იქიდან-აქედან. „მოდენიან, ბაბავ დღეს,“ გუშინ სადმე კრებაზე იქნებოდა: დროს ვერ იშონიდა, უთხარი მე. იქით ქალმაც ასე უთხრა. ავდექით ყველაი მხიარულად, დღეს უსიკტილოთ ველით ძროხას; მარა გევიდა აი მეორე დღეიც, გევიდა მესამეც, მეოთხეც... ძროხ არაა. ახლა კი ჩამოყარა ქალმა და და ბალანამ ყური. ქალმა მითხრა „წაი, ერთი შეიტყვე, რა ამბავიაო.“ მეც ასე ვფიქრობდი; ავდექი და წეველი. მიველი. მაგისას, მაი არ იყო შინ. ცოლმა მითხრა, მუუცადეთ. უცადე კას ხანს: მევიდა. ვკითხე, ძროხა რეიზა არ მომიდენე, მეთქი „ძროხას აღარ გიდენიო,“—მითხრა, ფინთიხსავით მომხდა აი სიტყვა გულზე, მარა მეხუმრებოდა მეგონა და გავიცინე. „რას იცინიო,—მითხრა,—მე დასურთ გეხუმრები? დეიხსენი, ან დამახსენი ძროხა; საზიარო ძროხის მორების თავი არ მაქ. მყავს ეგერ სხვაი ძროხიბიც, ჩემდა არცაა საჭირო მაი ძროხაო—რავა, ხომ არ მემასხრები მეთქი, უთხარი დახსნით დევიხსნი მოგეცა სიცოცხლე; მარა ჩემი ამბავი კი იცი: კაპეიკი არ გამაჩნია და რავქნა მეთქი. აბა დამახსენიო. ნუ დამღუპავ მეთქი, შევეხვეწე შეველმერთე. აჰ, არ ქნა და არ ქნა; ან დეიხსენი, ან დამხსენიო. აი ლაპარაკი მაგის ოდის პარმაღზე გვქონდა. ოდა აქ, მართლა რომ უნდა იმისანაი და ხიბაკი შით ბევრი ვიდექი ერთხანს, ვიდექი. ვიფიქრე: აი მდიდარი კაცია,—ამასთან მაინც ვეფერს გავაწყობ, ამ ძროხას აღარ მასარგებლებს გემოიანათ, მეთქი და ისევე ჯობს დავახსნა მეთქი. მევილაპარაკეთ ფასში. ძროხა შეაფასა ოცდაოთხ მანათად. ნახევრის ფასი მომცა, თორმეტი მანეთი და წამიველი შინ. ქალი და ბალანაი ჰიშკართან მიცდიდა თურმე; დამინახეს, გამეიქცნენ ყველაი ყვირილით „ძროხა სადაა, რა დაემართა ჩვენ კარმელას.“ ასე და ასეა საქმე მეთქი, უთხარი —ამოჰკიდა ყველამ ტირილი. ვერც ბალნები, ვერც ქალი ველარ დავამშვიდე. კიდევაც მივეფერე, კიდეც გავმჯავრდი, აფერი გამოვიდი; მარა ტირილი მეც მერეოდა, მეც ვიფიქრე, რეიზა ვქენი აი მეთქი, მეც საშინლად დამნანდა და აქეთ აგინის საცოდავობამ, შემაწუხა: ვიფიქრე, წავალ, ვეტყვი, ამას ყორიფელს გავაგებიებ და ქვის კაცი ხომ არაა: შეხედავს ჩემ მდგომარეობას და მომცემს ისევე ძროხას მეთქი და დავბრუნდი მაშვინათვე... რამდენი არ ვეხვეწე და ვემუდარე: არ ქნა ამ კაცმა: თვარა აბა მე რა შემეძლო: ჩემისანა ღარიბი კაცის ხათრს რეიზა დეიდებდა... არ შ.ისმინა, არც ბალნები შეიბრალა და გამომიშვა ცარიელი. მიველი შინ, მარა რა მოსლაა; ამ დღიდან ჩემსას გაცინებული კაცი აღარ დამინახავს. ბალანები ტიროდნენ, ქალი კნესოდა და ყველაი ისე მიყურებდა, ვითამ მე ვიყო ქვეყნის დამქცევი და იგინის უბედურების მიზეზი. გული თლა კისერში ამევიდა; ვიფიქრე, რა უყო ამ კაცს, ვერ მოვკლავ, მის დღემჩი აფერი მომიპარავს, ვეფერს მოვპარავ, რა ვქნა? ვიფიქრე, ვიფიკრე და გადავსწყვიტე: წავალ იმ ძროხას მოვკლავ,—ჩემდაც დავკარგავ და მისდაც, მეთქი და.·— მან კიდევ მოიწმინდა შუბლზე ოფლი, მიიხედმოიხედა ხალხისაკენ, რომელიც სულ-განაბული უსმენდა და განაგრძო: და წეველი საღამო ხანი იყო, მიველი სოფელში, ეველი მაღლა ზეგანზე, სადაც საქონელი ბალახობს, ზედ ხრამის პირზე, გვინცხნარაის იქით ვხედავ რამოდენიმე ძროხა ბალახობს, მზეი გადაწვერილი იყო და თლა გიენათებია! იი პაწაი ადგილი და მისდგომოდა კურკანტელაით დაყურულ გვინცხს. მივათვალიერე-მოვათვალიერე: ქე არ დევინახე აი ჩემი კარმელაი. ისე მადიანად ბალახობდა, პირი პირდაპირ ჩემკენ ჰქონდა. დევინახე თუ არა, გამიხარდა. ვიფიქრე: არც მე და არც სხვას მეთქი; მარა გეიგონა ჩემი ფეხის ხმა რაცხა, რავაც ახლო მიველი, გამეიხედა ჩემკენ და ქე არ მომაშურა! მომაშურა, მივაშურე, მოვკიდე რქაზე ხელი, ჩავხედე თვალებში გევიხედე ხრამისკენ და... და ხელები ამიკანკალდა, და დამეკარქა ყაბახობა. ეე, აქანაი უნდა დავსთხოვოდი და წამოვსულიყავი შინ. მარა, სისხლი ამიდუღდა: ჩემი ძროხა, რომ ასე კაცსავით მიყურე̃და, იმან კიდევ უფრო დამიკოდა გული და გევიხედგამოვიხედე. სტორეთ ზედ ხრამის პირზე ბალახობდა მისი ას მანათიანი ძროხა, ძუძუები გადიდგინებული ჰქონდა. ბევრი აღარ მიფიქრია, გევიქეცი, ვეცი ამ ძროხას და შით ხრამში გადუძახე ლა ნელა, ვითამც არაფერი, გამოვსწიე შინისკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგია, იმის არც ხორცით არც სხვა რამეით არ მისარგებლებია, ოღონდ ვაზარალე კი ამ კაცს; ამის ვარს არ ვჩივი.—ის დაჩუმდა, მძიმედ სუნთქავდა და ხატი ეჭირა ხელში უძრავად ხალხიც დაჩუმებული იყო. ცოტა ხნის შემდეგ მნათე მივიდა, გამოართვა ხატი და შეიტანა ეკკლესიაში. სიჩუმე დაარღვია ძროხის პატრონმა.

— ეე, როგორც მოგახსენეთ თვითანაც ჩივა, რომ მტერობიზა მომაყენა ზარალი. თუმცა სამტერო აფერი მიქნია, და ვსთხოვ კრებას მიიღოს მხედველობაში ყოველივე ეს და ეს ასი მანეთი გადაახდიოს.—მან ილაპარა კაი ხანს, ამტკიცებდა, რომ მისთვის მოუხერხებლი იყო ზიარი ძროხის ყოლა, რომ ფასი კარგი მისცა და სხვა.

მაგრამ კრებამ სხვა ნაირად შეხედა ამ საქმეს; მიიღო მხედველობაში იმის ზნეობრივი მხარე, ფსიხოლოგიური მდგომარეობა და დიდის ხმის უმეტესობით მცირეოდენი კამათის შემდეგ გაამართლა ქურდი.

ოთხი საათი შესრულდა, ხალხს დაღლილობა ეტყობოდა, წასვლით კი ვერავინ ვერ მიდიოდა: ერთი რომ საქმეებით ყველა იყო დაინტერესებული, მეორე—ეშინოდა, არ გაეკიცხა ამხანაგებს. თავმჯდომარემ გამოაცხადა:—კიდევ არის ორი საქმე, მაგრამ გადავდვათ, რადგანაც ყველანი დავიღალეთ.

— გადავდვათ, გადავდვათ,—მოისმა იქით აქედან, მაგრამ წინ წამოდგა ჭაღარა შერთული მაღალი წითური კაცი ვ.

— ვსთხოვ კრებას მოისმინოს ჩემი სათხოვარი,—სთქვა მან.—სამი თვეა ბოიკოტი მაქვს მეც და ჩემ ცოლშვილსაც. გთხოვთ მომხსნათ ეს ბოიკოტი, ცოცხლითაი მკვტარი ვარ კაცი. მეც და ჩემი შინაურებიც. არც გველაპარიკება არავინ, გზაზე დაგვინახავს, ერთ საყანაზე შემოგვიარს, მეზობლისას ველარ მივსულვართ. სიკტილი რა უნდა იყოს ამასთან შედარებით. სირცხვილით თვალი ველარ გამიჭყერია, გარეთ ველარ გამოვსულვარ.... სამი თვით გვქონდა ბოიკოტი, თუ გავსწორდებოდით ამ დროს განმავლობაში. დასჯილი ქე ვართ.—კაცმა დაღუნა თავი და გაჩუმდა.

— გასწორდნენ? დავეკითხოთ მეზობლებს,—მოისმა ხმა. წინ წარმოსდგნენ „ბოიკოტიანების“ მეზობლები.

— თითონ კი გასწორდა,—თქვა ერთმა მათქანმა—ე. ი. ვ. არასოდეს არ ერეოდა ამ საშინელ საქმეში, რასაც მაგის ცოლშვილი სჩადის; მხოლოდ იცოდა და არაფერს ამბობდა, ახლა კი უშლის, მაგრამ ცოლშვილს არ მოუშლია: ჯერ, არ გასწორებულარიან და ამისათვის ვითხოვ მაგას მოეხსნას ბოიკოტი, ცოლშვილზე კი დარჩეს. ამ ოჯახს ბრალდებოდა ახალგაზრდა ქალების სისტემატიურად გარყვნა და ვაჭრობა. როგორც ოზურგეთში, ისე თურმე მიჰყავდათ სოფლის ახალგაზრდა ბათომში ვითომდა ადგილის საშოვრად და ნამდვილად კი სარისკოპოში აყენებდნენ. კრებამ თითონ ვ—ს მოხსნა ბოიკოტი, ცოლშვილზე კი ისევ დასტოვა გასწორებამდის; მანამდის მეზობლებისაგან ამორჩეული კომისია ვალდებულია თვალყური ადევნოს იმათ ცხოვრებას და არ მისცეს შეძლება ამ ოჯახს დაღუპოს გამოუცდელი ადამიანები.

შემდეგი საქმეები მეორე კრებისათვის გადაიდვა.

**ნინო ნაკაშიძე.**

---

## საყოველთაო გაფიცვის მეორე დღეს.

### მომავალი საზოგადოება.

(ა. ბურშესი, სპილენძის მუშათა ფედერაციის სეკრეტარისა).

მოხსენება, წარდგენილი სპილენძის მუშათა ფედერაციის სახელით, მონპელიეს კონგრესზედ.

დიდი სოციალური დრამა აღსრულდა.. შეერთებულმა მუშებმა, გაბედულ უმცირესობის მეთაობით, რომელმაც გაიყოლია თან მუშათა მთელი მასსა, ძალით გაანთავისუფლა შრომა.

გაქცეულმა ან შერიგებულმა ექსპლოატატორებმა დაინახეს, რომ კაპიტალისტური საზოგადოება დაიმსხვრა ხალხის საშინელი შეჯახების დროს, და ამ საზოგადოებას არც ჯარმა გაუწია არავითარი მფარველობა.

ახალი საზოგადოება დაიბადა. და წარმოვიდგინოთ მისი საზოგადო სურათი მაგრამ მსჯელობა ამ საგანზედ ძლიერ ძნელია, გამოსარკვეველი საგანი ძლიერ ამაღელვებელი, მშვენიერი და თანაც საშინელია, და ამიტომ ცოტაოი ფრთხილად უნდა მოვიქცეთ.

ჩვენ ძლიერ გვესიამოვნება ხოლმე ჩვენი იდეალის მოგონება და ეს გვინათებს ხოლმე აზრს, მაგრამ ისიც მართალია აგრეთვე, რომ ყველა ის ჰიპოტეზები, რომლებსაც ჩვენ აქედანვე ვადგენთ, უმჯობესდებიან და იცვლებიან. ისინი არ არიან ჩაბორკვილნი ერთ ვიწრო ფარგალში და ყოველ დღე საჭიროა მათი უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოხატვა. ჩვენ კი ყოველთვის იმისი მომხრე ვიქნებით, რაც უმჯობესდება და ამასთანავე წინააღმდეგობას გაუწევთ ყოველივე იმას, რაც უკან დახევა და დაძაბუნება იქმნება.

მაშ რა საჭიროა, იტყვიან, ეს წინდაწინ გათვალისწინება იმ ბუნდოვანი მომავლისა, რატომ არ უნდა მოვუცადოთ, რომ გაიწმინდოს ბარემ მომავლის ჰორიზონტი და დავინახოთ პირდაპირ საერთო სურათი სამართლის, თავისუფლებისა და ბედნიერების საზოგადოებისა?

ეს კი პირდაპირი პასუხია მათი მხრივ, ვისაც ეშინია შეცდომებისა, პასუხი მოწინააღმდეგეთა, რომელთაც ტვინის მუშაობის ეშინიათ, ზარმაცთა, რომელნიც უმოქმედოთა და მხდალად მიიზლაზვნიან სიცოცხლისკენ, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, ვინც რა უნდა სთქვას, თუ რატომ არის ეს თანამედროვე ცხოვრების პირდაპირი კითხვა. ვსთქვათ რომ რომელიმე დიდი კორპორაციის გაფიცვის მიერ გამოწვეულმა საშინელმა უმუშაობამ, ან რომელიმე დიდმა პოლიტიკურმა არეულობამ აღადგინა მთელი პროლეტარიატი და გაანთავისუფლა იგი ბატონ-პატრონთაგან.

ხალხი, რომელიც მიჩვეულია მორჩილებას და იმედი აქვს ყოველთვის სახელმწიფოსი, იმ შემთხვევაში თუ ფრთხილად არ ვიქნებით, ემგვანება ზღვაში გზა-აბნეულ ნავს, და რამდენიმე თამამ მეზღვაურებს შეუძლიანთ მოატრიალონ მთელი მოძრაობა რამოდენიმეთა სასარგებლოდ.

როდესაც ხალხი მოახდენს დიდ საქმეს, მას შემდეგ უნდა ვიგულისხმოდ, რომ იგი ძლიერ ბევრჯერ დაუბრუნდება ისევ იერიშს, რადგანაც იგი მოუთმენელია, თუ მინიმუმამდის არ ჩამოვიყვანეთ რევოლიუციონური გარდამავალი პერიოდი.

მაშინ ადამიანს ყოველთვის და ყოველ წამს მოვალეობის მოთხოვნა კი არა უნდა დაუწყო, არამედ უპირველეს ყოვლისა მის მოთხოვნილებას უნდა მიაქციოთ ყურადღება.

რასაკვირველია, საყოველთაო გაფიცვის მეორე დღეს, ბევრი იქმნება დამზადებული საქონელი უპირველეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ტანისამოსის მაღაზიები, ჩექმებისა, ავეჯეულობისა და სხვ. საკმარისად არის ჩვენ საზოგადოებაშიდაც, რომელიც განადგურებულია ეგრედ წოდებულ ზედ-მეტი წარმოებით, და ამ მხრით არავითარი ხიფათი არ მოგველის ძლიერ ბევრია აგრეთვე მშვენიერი სახლები, სადაც არავინ არა სდგას, და მუშები ბოლოს და ბოლოს გამოძვრებიან თავიანთ სოროებიდან, რომ წმინდა ჰაერით ისუნთქონ სახლში. არც ამ მხრით არის არავითარი შიში.

უფრო სერიოზულია კითხვა სასმელ-საჭმელის შესახებ. აი ამიტომაც სამიწად-მომქმედო მუშათა ორგანიზაციამ უნდა მიიპყროს ჩვენი უმთავრესი და სპეციალური ყურადღება. ისინი ჩვენი მომხრეები უნდა იყვნენ, და ამას მათ თვით მათი საკუთარი ინტერესები ცუხნება. საკმარისია მხოლოდ, რომ მათ შეიგნონ ეს ჭეშმარიტება.

ჩვენ ვიცით, რა მტვრევასა და ღელვას განოიწვევს ამ აჯანყების პერიოდი, ჩვენ არა გვსურს რომ ამ ღელვაში დაიბადონ ბრბოს ცუდი ინსტინქტები, და ამიტომაც უნდა დავსდვათ საფუძველი საზოგადოებისა, რომელიც აღჩნდება დიდი აჯანყების შემდეგ,—საფუძველი, რომელიც გაუმჯობესდება დაუსრულებლივ.

მაშასადამე საქმეს უნდა შევუდგეთ. დანგრევა კარგია, მაგრამ აშენება კიდევ უფრო საჭიროა. როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენ შრომა?

აქ აზრი სრულიად უბრალოა. თქვენი თვალის წინ გადაიშლება შემდეგი სურათი: სახელოსნო, ფაბრიკა, ქარხანა თანასწორი საზოგადოებისა,—დიდი, ნათელი, სუფთა, მშვენიერი,—ბინძურ, მყრალ და ვიწრო ქარხანა-სახელოსნოთა მაგიერ, რომელნიც ეხლა არსებობენ. მაშინ არ იქმნება არც ზარა, არც სტვენა, არც წესები, არც აღკრძალვა. შესვლა და გამოსვლა თავისუფალი იქმნება, დასვენება ყველასათვის თავისუფალი და სურვილისამებრ, და მუშაობაც აღსრულდება საერთო კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, ოდეს შეიძლება მოიგონონ საუკუნოდ წარსული დრო, კაცი რომ ბატონის სასარგებლოდ მუშაობდა, თავდეგის მათრახ ქვეშ, დრო მარადის შთანთქმული დიდი აჯანყების ტალღებში.

ყველგან ადამიანები უერთდებიან ერთმანეთს ზნეობრივი ნათესაობისა, გემოთა და სიმპატიათა მიხედვით, ძალადაუტანებლად და უკონტროლოდ. ისინი ეცდებიან მისცენ საზოგადოებას სიხარულით მთელი თავისი ნაწარმოები მაჯისა და ტვინისა, აწარმოებენ კი მშვენივრად, სწრაფად და სასარგებლოდ, ერთი სიტყვით,—სრულიად წინააღმდეგი სურათი თანამედროვე საზოგადოებისა.

მაგრამ შრომის ჯილდო?—გვეტყვიან მაშინვე.

და ეს კითხვა უმთავრესი კითხვაა. კაპიტალისტური საზოგადოება მიტომ არის საზიზღარი, რომ იგი დაქირავებულ შრომაზე არის დამყარებული. ჩვენ მივისწრაფვით, რომ იგი მოისპოს. სოციალურმა ტრანსფორმაციამ უნდა მოახდინოს ეს რეფორმა, ან და ეს ტრანსფორმაცია მხოლოდ მწარე მოტყუება იქმნება: სრულიად უნდა მოისპოს დაქირავებული შრომა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი. მთელ რევოლიუციებს არ ახდენენ მხოლოდ ეტიკეტების გამოცვლისათვის. ჩვენ არა გვწამს, არავითარი „შრომის კვიტანციები“ და მსგავსი რამეები.

თავისუფალი შრომა, თავისუფალი დაკმაყოფილება მოთხოვნილებათა, მოსპობა ღირებულების თეორიით ანგარიშისა ნაწარმოებთა,—აი ის მშვენიერი სურათი, რომელსაც წარმოადგენს მომავალი კაცობრიობა.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა გვეტყვიან: არავინ არ იმუშავებს, თუ არც ძალდატანება და არც მოგება არ იქმნა.

მაგრამ ამგვარად პირდაპირ მივადგებით კატორგის თეორიას, თეორიას ტანჯვით შრომისას, რომელიც ჩვენ დიდი ხნიდან გვაქვს გარდმოცემული, როგორც სადმრთო წერილის მცნება: „ოფლითა შენითა მოიპოვებ პურსა შენსა“.

რაიო? განა მართალია რომ მუშაობისთვის საჭიროა მათრახი და ბატონი, და მაშინ კი, როდესაც თავის თავისთვის იმუშავებენ მხოლოდ რამოდენიმე საათის განმავლობაში, მუშები სულ აღარ მოინდომებენ მუშაობას—არა და ათასჯერ არა! მხოლოდ ჩვენი აზრები, ტანჯვითა და ცხოვრებაში ბრძოლით დამახინჯებულები გვაფიქრებიებენ ამგვარ რამეს.

განთავისუფლებული ადამიანები, რომლებიც განთავისუფლების დიდ საქმეს შეასრულებენ, აღარ იქნებიან ამგვარი ცრუმორწმუნეობით განსჭვალულნი და ჩვენც შეგვეძლება რომა ვსთქვათ:

შრომა იქმნება სიამოვნება და არა წამება.

ჩვენ სულითა და გულით გვინდოდა, რომ ეს დეპუტებ გაგრძელებულიყო და დაწვრილებით დაგვეხატა წყობილება მთელ ქალაქისა, მთელი მაზრისა, ისე, როგორც ჩვენ ოცნებაში მათა ვხედავთ:—თვითეულს შეაქვს თავისი ნაწილი თავისუფლად საერთო საქმეში, ყველა თავის ბედნიერებაში ნახულობს მამოძრავებელ ძალას, რომ კიდევ უფრო გაზარდოს ეს ბედნიერება, ყველგან ნათელი, ფართო ასპარეზი მოქმედებისა და სიხარული. და წარმოიდგინეთ, რომ შეიძლება ხვალ ყოველივე ეს ოცნება კი არა, სინამდვილე იქნეს!

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენ მსჯელობას. უეჭველია, რეორგანიზაცია შრომისა კომმუნისტიურ საფუძველზედ გარდაჰქმნის ჩვენ ფედერატიულ და სინდიკალურ ორგანიზაციებს. ეს ორგანიზაციები, რომელთაც ეხლა თავის დაცვისა და აღზრდის ხასიათი აქვსთ, მაშინ მხოლოდ წარმოების ორგანიზმებად გარდიქცევიან.

ხელოსნობის არისტოკრატია მოისპობა და არა მგონია მაშინ დაგვჭირდეს ცენტრალიზაცია ან ადმინისტრატიული და ან წარმოებითი, და მაშასადამე სინდიკატები და ფედერაციები მოისპობიან, რადგანაც არავითარი როლი მათ აღარ ექმნებათ,—ან და ძირითადათ შეიცვლებიან.

მაშასადამე,—დავასკვნათ: თავისუფალი შრომა, საქიროა შრომის მ-ხპობა.—

როგორღა უნდა მოვაწყოთ ნაწარმოების ხმარება?

ჩვენ უკვე ზევით ვსთქვით: თავისუფლად, როგორც შრომა. თვითოეულისაგან მისი ძალის მიხედვით, თვითოეულს მის მოთხოვნილებათა მიხედვით, აი ჩვენი დოქტრინა. და ამაში ჩვენ შიში არაფრისა გვაქვს.

თუ ჩვენ ავიღებთ თანამედროვე საზოგადოებაში ყველა იმ სოციალურ ღირებულება მოკლებულ ხალხთა, მაშინ დავინახავთ, რომ ისინი ვინც არას აკეთებენ, ყოველთვის მეტსა ხმარობენ: კაპიტალიზმის დამცველი არმია, ყველა ფორმის ანაფორებიანი სამღვდელოება, ზეზე მდგომი, დამდგარი და დაწოლილი მაგისტრატები, პოლიციელები, მემამულეები და ყოველ ნაირი ექსპლოატატორები, სხვა და სხვა ფერის კანონმდებლები და სხვა,—ყველა ესენი სოციალურად უსარგებლო ხალხნი არიან. ჩვენ ოფიციალური სტატისტიკით ვიცით, რომ მხოლოდ 30% მწარმოებელთა ჰქმნიან ყოველგვარ აუცილებელ საჭირო საგნებს.

და ეს მესამედი მწარმოებელთა თან და თან უფრო ვარდება ხოლმე პერიოდიულად უმუშაობის ჯოჯოხეთში და მიუხედავად ამისა ჩვენ ვამჩნევთ რაღაც უცნაურ მოვლენას რომელიც მარტო საკმარისია კაპიტალისტური რეჟიმის უარყოფისათვის. ზედ-მეტი წარმოება, რომელიც იწვევს ხოლმე ხალხის სიღატაკესა და წამებას.

და მაშინ როდესაც მეცნიერებასაც არ შეუძლია განვითარება თუ არა თავისუფლად, მაშინ როდესაც უბრალო გამარტივება წარმოების წესთა ხვალ დაატრიალებს ბევრა

უფრო ძლიერ წარმოებას, მაშინ როდესაც კომმუნისტიურ რეჟიმის დროს თანამედროვე მუქთა ხორათა მუშაობას დაამწყვდიებენ და ომისა და სიმაგრეების შენების მაგივრად სარგებლიან შრომას მოჰკიდებენ ხელს —მაშინ, ცხადია, რომ თუ დღესაც საჭიროა მხოლოდ თვითო კაცისგან სამი საათის მუშაობა სამყოფ საგანთა საწარმოოდ, ეხლავე რაოდენობა შრომისა უკეთესი ორგანიზაციებისა და პროგრესის წყალობით ისეთ რაოდენობას შეჰქმნის ნაწარმოებთა, რომ ხმარება განუზომელი და უანგარიშო იქნება; მისი საზღვრები მხოლოდ ადამიანის სინიდისი იქნება.

მასხრები ამას ირონიული სიტყვით იხსენიებენ: საერთო ხვავიდან აღება! დიახ, „საერთო ხვავიდან აღება“ თუ გნებავთ, მაგრამ ჩვენ სიტყვების არ გვეშინია მაშინაც კი, როდესაც ისინი ბოროტად არიან წარმოთქმულნი.

კარგი ხანია მას აქეთ, რაც ერთი ნაწილი კაცობრიობისა,—ყველაზედ ნაკლებად საინტერესო ნაწილი,—ხმარობს ამ სისტემას. ჩვენის ფიქრით შესაძლებელია მისი გაერთიანება. მაგრამ რაო,—იტყვიან,—ის ვინც არაფერს აკეთებს, არ აწარმოებს, იმასაც ექმნება უფლება იხმაროს იმდენი, რამდენიც უნდა?

არ ვიცი, იქმნება თუ არა ამ დროს იმისთანა ადამიანები, რომლებიც საერთო საქმეებში მონაწილეობას არ მიიღებენ, მაგრამ თუ პირველად მაინც იქმნებიან იმისთანები, რომლებიც ჩვეულებით, ერთგვარი ატავიზმის წყალობით, არ იმუშავებენ,—თუ იქმნება ერთი ვიწრო წრე, რომელიც უარს იტყვის წარმოებაზედ, საჭიროა იქმნება რომ მათ ძალდასატანებლად ისევ გავაჩინოთ ხმლიანი ჟანდარმი და წითელ ანაფორიანი მიაჯული?

საბედნიეროდ არა. ისინი სჭამენ, სმენ და დაიკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებას როგორც უნდათ, და თუ სხეულით დასჯა არ იქმნა, თუ არა მწარმოებელთ არც დასჯიან არც საპყრობილითა, და არც სიკვდილით, არც სიმშილით სიკვდილით,—მაშინ, იმ საზოგადოებაში, სადაც სინიდისი პირდაპირი იქმნება, ჩემის ფიქრით, ნამუსი, რომელიც შეაწუხებს მუქთა ხორებს, საუკეთესო საშვალება იქმნება მათი რასის მოსასპობლად.

თუ ჩვენ ახალ ცხოვრების დასაწყისში იძულებულნი ვიქნებით ვარჩინოთ რამოდენიმე ზემოხსენებულ ადამიანთა მსგავსი, ავიტანოთ მათი არსებობა, რომ კიდევ უარესი არა დაგვემართოს რა, რადგანაც ეხლანდელ დროში თითქმის $^{2}/_{3}$ პარაზიტია მთელ კაცობრიობაში!

აი, მოკლედ, ის პირობები, რომელშიდაც განხორციელდება თავისუფალი წარმოება და ხმარება, მუშაობა წარმოება და მოთხოვნილება ხმარება.

მაშასადამე მოისპობა დაქირავებული შრომა, ნაწარმოების ანგარიში ღირებულების თეორიით.

ეხლა მესამე პუნქტი გავარჩიოთ,—დამატება ორი პირველისა,—საშუალება გაცვლა-გამოცვლისა. აქ პრობლემა ფართოვდება და თანაც მსჯელობაში აუცილებლად ჩნდება ის დაწესებულება, რომელიც, ალბად, საყოველთაო გაცვლის მეორე დღეს იქმნება ადამიანთა მოქმედების ცენტრი და რომელსაც დღეს შრომის ბირჟას ეძახიან (Bourse du travail). ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ეტიკეტებს მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ.

როგორი იქნება ბირჟები,—თემობით, მხარეებით თუ მაზრებით, ამისი თქმა ჯერ შეუძლებელია, რადგანაც განწყობილება და ადამიანთა შეერთებანი, საბედნიეროდ, ბუნებრივ მსგავსების მიხედვით იქმნება, და მაშასადამე ძლიერ ცვალებადი და მრავალ ფეროვანი. ამას თუმცა დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც თავი და თავი ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი დეცენტრალიზაცია მოხდეს და რაც შეიძლება განვშორდეთ სახელმწიფოს ფორმას.

ვსთქვათ რომ აგგლომერაცია უკვე მოხდა: მაშინ ერთი განსაზღვრულ სამუშაოს მოჰკიდებს ხელს, სხვები, თავიანთი გემოსა და ნიჭის მიხედვით, მიეცემიან მრეწველობასა და წარმოების სხვა დარგთა რომელიმე ნაწილს, ზოგნიც თემის ან ქალაქის გაწმენდისა და გამშვენიერების საქმეს მოჰკიდებენ ხელს. რა იქმნება მაშინ ნაწარმოების? ის იქმნება მაშინ ნაწარმოები თემის მიერ თემისათვისვე, უბრალო და ბუნებრივი, რომელსაც შეიტანენ საერთო მაღაზიაში და იქიდამ გაიტანს ყოველი კაცი თავის მოთხოვნილებათა მიხედვით. ეს მაღაზიები კი აგრეთვე მრავალფეროვანი იქმნება, საქონელთა მრავალფეროვანებათა მიხედვით.

რაც შეეხება ერთ თემს, შესაძლებელია კიდევ რომ მან თვისი საჭირო საგნები სამყოფად აწარმოოს, მაგრამ მთელი ცხოვრებისათვის საჭირო საგნებს (და ცხოვრება ჩვენ ძლიერ ფართო აზრით ავიღოთ) კი ვერ აწარმოებს ერთი რომელიმე სექცია:

ზოგან ძლიერ ბევრიც იქმნება რომელიმე საქონელი, ზოგან ცოტა, ზოგან სულაც არ იქმნება და სწორედ მაშინ იქმნება საჭირო როლი შრომის ბირჟებისა.

თვითოეულ ბირჟას ექმნება თავისი ბიულლეტენი წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლისა, რომელიც გაეგზავნებათ ყველა არსებულ ბირჟებს. ამ ბიულეტენებში იქმნება მოხსენებული ზედ მეტ საქონელთა და იმ საქონელთა სია, რომელიც აკლია, და მაშინ ადვილი იქმნება იანგარიშონ განწყობილებანი გაცვლა-გამოცვლისა. ბიულეტენებში იქმნება აგრეთვე აღნიშნული ყველა აღმოჩენანი, გამოგონებანი და გამარტივებანი წარმოებაში, რაიცა სამუშაო დროს კიდევ უფრო შეამოკლებს.

მაგრამ საცვალი ღირებულება?—იკითხავენ მაშინვე? თემები, პროვინციები, სექციები, რითი იხელმძღვანელებენ გაცვლა-გამოცვლის დროს? და ჩვენ მოწინააღმდეგეებს ღიმილით წარმოუდგენიათ, რომ ამგვარი გაყოფა ადამიანთა, შეჰქმნის პატარა ეგოისტ ხალხთ, რომელნიც ეცდებიან რაც შეიძლება მეტი სპეკულიაციით ურთიერთის საღლეტად იცხოვრონ, და ამითი მათ ჰგონიათ რომ ძლიერ დიდი საწინააღმდეგო პასუხი წარმოგვიდგინეს.

ჩვენ თავის დღეშიაც არა გვდომია მისი თქმა, რომ თვითეული თემი კარ-ჩაკეტილად იცხოვრებს; ჩვენც სწორედ გვგონია რომ დიდი დაბრკოლება ეს იქმნებოდა: წინააღმდეგ, ჩვენ გვგონია რომ გაცვლა-გამოცვლა მაშინ დაამყარებს მეგობრობას, სოლიდარობას, რომელნიც არა თუ არ დაიკლებენ, არამედ უფრო გაიზრდებიან და იმ ხარისხამდე მიაღწევენ, რომ დღეს სიზმრადაც არ უნახავს არავის მსგავსი რამ.

რკინის გზებით სავსე იქმნება ყოველი კუთხე რომელიმე ქვეყნისა, ადამიანთა შეერთების საშუალებანი გაიზრდებიან განუზომელად, მეცნიერების წყალობით, საიდამაც ადამიანი უხვად ისარგებლებს, და გემოსა და ფანტაზიის მიხედვით ადამიანები ყველა ქვეყნებს ნახვენ სასიამოვნოდ და მაგალითების შესასწავლად. და მაშინ აი რა მოხდება,—და მე ბოლომდის დავასურათებ ჩემ მაგალითს, რომ უკეთ გაიგონ იგი: მაგალითად ლიონის კომმუნას აქვს ზედ-მეტი ორთქლის მა-

შინები და აკლია პური, და ის გასცვლის ერთ ორთქლის მანქანას, რომელიც დღეს 100,000 ფრანკად ღირს, რამოდენიმე პურზედ, რომელიც დღეს ღირს ასჯერ ნაკლები. ეს არის გაცვლა მოთხოვნილებათა მიხედვით.

და ეს არც სამსახური იქმნება, არც ძღვენი, არამედ სრულიად ბუნებრივი და ლოღიკური მოვლენა, რადგანაც ადამიანთა სოლიდარობა განხორციელდა, იგი სიტყვა აღარ არის, და სიძულვილის აღმგზნები ბატონ-პატრონნი განქრენ.

რომ თანამედროვე ჟარგონის ტერმინები ვიხმაროთ,— შრომის ბირჟები გასწევენ მაშინ სამნაირ სამსახურს: საერთო თემობრივ მაღაზიათა, სავაჭრო ბირჟათა და სათემო ადმინისტრაციისა.

რასაკვირველია ყოველივე ნათქვამი უნდა შეივსოს კიდევ. ჩვენ როდისმე ამას ვიზამთ, მაგრამ რადგანაც საპასუხო დაგვრჩენია კიდევ რამოდენიმე ეჭვზედ, აღვნიშნოთ ჯერ უმთავრესი პუნქტები ზემოხსენებულისა:

1) შრომა თავისუფალი, ძალდაუტანებლად, დაუქირავებელი ყოველი მხრივ;

2) ხმარება ნაწარმოებისა, გემოთა და მოთხოვნილებათა მიხედვით;

3) სრული მოსპობა ნაწარმოების განსაზღვრისა ღირებულების თეორიით;

4) აგრეთვე გაცვლა-გამოცვლის მოწყობა მოთხოვნილებათა მიხედვით.

5) შრომის ბირჟა, ცენტრი ადამიანის მოქმედებისა და ცხოვრებისა.

„არც მონარხია, არც არისტოკრატია, არც დემოკრატია, რამდენადაც ეს გულისხმობს რომელიმე მთავრობას, რომელიც მოქმედებს ხალხის სახელით და იფვისებს ხალხის სახელს“,—ვამბობთ ჩვენ პრუდონთან ერთად, რომლის თეორიებსაც ჩვენ ძლიერ ბევრში სრულიადაც არ ვეთანხმებით.

არც უფროს-უნცროსობა და ავტორიტეტი, არც მთავრობა,—აი რა არის რევოლიუცია!

## ბ. ბ. „დანოსჩიკებისადმი“ მიმართულ ღია წერილის პასუხის პასუხი

ჩვენმა ღია წერილმა ბ.ბ. „დანოსჩიკებისადმი“ მათი „პასუხი“ გამოიწვია, („ლამპარი“ № 32) მაგრამ პასუხიცაა და პასუხიც. „ლამპარს“ აშკარად „დანოსების“ წერაში ბრალსა სდებდნენ, ის კი სიტყვას ბანზე აგდებს, პასუხს არ იძლევა, მხოლოდ ჯლავის—გაგვლანძღეს, ცილი შეგვწამესო. მაშ არა და „დანოსებისათვის“ ქება დიდებას მოელოდით? მართალია, „დანოსებისთვის“ ქება დიდებასაც და ჯილდოსაც იძლევიან, მაგრამ ასე რევოლიუციის აქეთ მყოფნი კი არა, რევოლიუციის იქით მყოფნი იქცევიან და იქიდგან, გვგონია არავითარი ლინძღვა—გინება არ სწვევია „ლამპრის“ რედაქციას. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იქ ძალიან მოეწონათ „ლამპრის“ „სტატია“. რაც შეეხება ჭკუაზე შეცდომას,— მაგისთანა რამეს ჩვენ თქვენ არ დაგწამებთ: ჭკუაზე მხოლოდ ის შესცდება, ვისაც თავდაპირველად ჰქონია ჭკუა, თქვენ კი მასთან არაოდეს არ გქონიათ ნაცნობობა. თქვენთან სერიოზული მსჯელობა არ შეიძლებაო, ბრძანებს გონებრივ კუტთა ორგანო. უბედურებო, მაგის თქვენი სიტყვები [illegible] მოახერხეთ? ვერ მოახერხეთ რომ ჩვენი სიტყვები არ გაგემეორებინათ? ჩვენ „ნობათის“ მე-4 ნომერში გკარით თქვენ პანღური და გამოგაგდეთ სერიოზულ სჯა-ბაასის მიდამოდან, და ეს იმისათვის, რომ გონებრივ უძლურებად გიცანით და ესეც თქენივე ბრალი იყო. დღემდის არაფერი გითქვამთ პარტიების სახელით ცარცვა გლეჯის შესახებო. არც დღეს ვიტყოდით, რომ „ლამპარს“ ცილი არ დაეწამებია და „დანოსი“ არ დაეწერა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ არ ჩავდივართ მაგისთანა საქმეს, ეს კმარა ჩვენთვის; სხვაზე პოლიციის მისევა ჩვენი საქმე არ არის. ჩვენი რედაქცია პოლიციისათვის ცნობების შემკრები ბიურო არ არის,—არცი „ნობათია“ „ლამპარი“.

ბოლოს, გირჩევნიათ გაჩერდეთ, გაიკმინტოთ ხმა, თორემ რაც სოციალ-დემოკრატიაში ქურდი და „ჟულიკი“ გამორევია ძველსა და ახალ ქვეყნებში, ყველას ჩამოგითვლით,—დაწვრილებითი სია მზადა გვაქვს! გაჩვენებთ, რომ თვით თქვენ დეპუტატთა შორის, ხალხის მანდატერთა შორისაც ურევიან ისეთები, რომელთაც წვრილი და მსხვილი ქურდობაც ჩაუდენიათ, ასი ათასიც მოუპარავთ და 50 ფრანკიც... რაც უნდა იფხაკუროთ, ეჭვს გარეშეა, ნიღაბი მოგეხსნებათ და თქვენი ნამდვილი სახე ეჩვენება ხალხს.

დასასრულ, ერთი კითხვა: ამ ცოტა ხანში მთავრობას თქვენი წარმომადგენლები ხომ არ მიუწვევნია, ხომ არ უმუსაიფნია მათთან და შემდეგ ხომ არ ეთხოვნია თქვენთვის,— ეცადეთ გავლენა იქონიოთ „მცარცველ“ პარტიებზე და ჯგუფებზეო? ამ თათბირის შედეგი ხომ არ იყო ის თქვენი „სტატია“, რომელმაც თქვენვე ლაფი დაგასხათ და თავიდან ფეხებამდის გაგსვრით, თუ ჭკუით არ იქენით?..

ქ.

## „ნობათის“ ფოსტა.

მიხეილ თ—ას. რეკლიუს მარტო გეოგრაფია კი არ დაუწერია, მას სხვა წიგნებიც აქვს. ჩვენ რომ წიგნი გირჩიეთ რეკლიუსი—Земля и Человѣкъ—გეოგრაფია არ არის. შეგიძლიათ იმავე ავტორის „ევოლიუცია და რევოლიუცია“ შეიძინოთ. ამას გარდა ამ დღეებში გამოვიდა:

1. Современная наука и анархизмъ. Анархія и коммунизмъ. П. Кропоткина.

2. Эльцбахеръ. Сущность анархизма.

3. Куличицкій. М. А. Бакунинъ. (კულიჩიცკი ანარქისტი არ არის, მაგრამ მისი წიგნი პატიოსნურად არის დაწერილი).

ი. იმედ—შვილს. ვწუხვართ, მაგრამ წერილს ვერ ვბეჭდავთ. ჩვენ არჩევნებში არც მიგვიღია, არც აწი მივიღებთ რაიმე მონაწილეობას. ამისათვის ვერც ერთ, ვერც მეორე ამომრჩევლის პოზიციას ვერ დავიცავთ.

რედაქტორ-გამომცემელი დ. ერისთავი-მდივნისა

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“. ტფილისი მიხეილის ქუჩა, 65.